# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140



„ღმერთო, ასწავლე მას, ვისაც უყვარს სწავლა“ ◆ მადლობა ინტერნეტით ◆ ჰარი პოტერი – ჯადოქარი ◆ როგორ აუხსნის ნინიკო სიყვარულს ცხენს ◆ სიცილის გაკვეთილი ◆ ნუმეროლოგიური ჰოროსკოპი ◆ ოთხჯერ გადარჩენილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა







„ნაკადული" თქვენი ჟურნალია, თქვენთვის გამოდის, თქვენ ხართ მისი მკითხველები და მაშასადამე, მისი ავკარგიანობის პირუთვნელი შემფასებლებიც.

ჟურნალის ყოველი ნომრის მომზადებისას ვცდილობთ ისეთი თემები, მასალები, საკითხები შევარჩიოთ, თქვენ რომ მოგეწონებათ და გამოგადგებათ. ბევრი თქვენგანი სიამოვნებით გვიზიარებს საკუთარ აზრს ჟურნალზე, გვწერს, გვირეკავს, რედაქციაში გვაკითხავს, გვთავაზობს საკუთარ შემოქმედებას, გვიამბობს თავის სკოლაზე, მეგობრებზე, მასწავლებლებზე. გვინდა, ეს ურთიერთობა უფრო აქტიური, მჭიდრო, საგნობრივი იყოს და ამიტომ გთხოვთ, უფრო ხშირად მოგვაწვდინოთ ხმა, დაგვირეკეთ, მოგვწერეთ, შემოგვიარეთ რედაქციაში. ჩვენი ტელეფონები და მისამართი მითითებულია „ნაკადულის" პირველ გვერდზე.

ხომ გინდათ, ჟურნალს რომ გადაშლით, იმის შესახებ წაიკითხოთ, რაც გაინტერესებთ და გაღელვებთ, ჰოდა შემოგვეხმიანეთ, გვიკარნახეთ თემები, რუბრიკები, მოგვწერეთ თქვენი კლასის, სკოლის, მეზობლების, მეგობრების შესახებ. გაგვიზიარეთ, რა მოგწონთ და რა — არა „ნაკადულში", რა აკლია, თქვენი აზრით, ჟურნალს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იყოს. რედაქცია უთუოდ გაითვალისწინებს თქვენს აზრს, სურვილებს, შენიშვნებს და, გარწმუნებთ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი და თქვენი „ნაკადული" ბევრად უფრო საინტერესო, ხალისიანი და მრავალფეროვანი გახდება.















# ნაკადული

2001 წ. №6

გამოდის 1926 წლიდან

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი" ---------------- 2
„ღმერთო, ასწავლე მას, ვისაც უყვარს სწავლა"---------------- 3
გუბეები ხეობაში (მოთხრობა) ვლ. ასლამაზიშვილი ---------------- 7
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------------- 8
მახას და ზანდურის დაბრუნება ---------------- 9
ეკას მშობლებს მადლობა ინტერნეტით გამოუცხადეს ---------- 10
თუ ჯერ არ იცნობთ, გაიცანით, ჰარი პოტერი — ჯადოქარი! 11
მხოლოდ სტატისტიკა (ბავშვის უფლებები)---------------- 12
პოეზია ---------------- 13
როგორ აუხსნის ნინიკო სიყვარულს ცხენს ---------------- 14
საკონტროლო წერა თემაზე: „ჩემი სამშობლო XXI საუკუნეში" --- 16
კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ---------------- 18
ხუროთმოძღვარი საკოცარი (მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს) --19
„ოდოშხერი" ---------------- 20
რა და რა ჰქვია რას და რას---------------- 21
სპორტული გვერდი ---------------- 22
???---------------- 23
დი სნაიდერი: პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში (შენ და სკოლა) ---------------- 24
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------------- 26
ოთხჯერ გადარჩენილნი (გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!) ---- 27
ინტერნეტომანია ყველას გვემუქრება ---------------- 28
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის"---------------- 29
სიცილის გაკვეთილი ---------------- 30
ორიგამი ---------------- 31
ნუმეროლოგიური ჰოროსკოპი ---------------- 32

რედაქტორი მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.
ინდექსი: 76157.
ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში




„ღმერთო, ასწავლე მას, ვისაც უყვარს სწავლა"




ეკას მშობლებს მადლობა ინტერნეტით გამოუცხადეს




როგორ აუხსნის ნინიკო სიყვარულს ცხენს




თუ ჯერ არ იცნობთ, გაიცანით, ჰარი პოტერი — ჯადოქარი!



# ფაქტი

## „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო



### მათემატიკოსთა წარმატება

ღირსეულად წარმოადგინეს ჩვენი ქვეყანა ვაშინგტონში, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში გამართულ 42-ე საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაზე მიხეილ მებონიამ (ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული თ. გეგელიას სახელობის სკოლა-ინტერნატის, XI კლასი), გიორგი მუტაფიანმა (თბილისის მე-19 სკოლა, XI კლასი), შალვა სახელაშვილმა (ქუთაისის მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, XI კლასი), შოთა ღვინეფაძემ (ქუთაისის მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, X კლასი), არჩილ ცისკარიძემ (თბილისის 128-ე სკოლა, XI კლასი), ნიკა ჯიმშელაშვილმა (ქუთაისის მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, IX კლასი). ჩვენი გუნდი, რომელსაც ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგე პროფესორი ლერი გოგოლაძე ხელმძღვანელობდა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით ხელდამშვენებული დაბრუნდა თბილისში.

### „ბერიკები" მონაკოში

ბავშვთა თეატრალურმა სკოლა-სტუდიამ „ბერიკები" მონაკოს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ნოდარ დუმბაძის ნოველის „HELLADOS" მიხედვით შექმნილი სპექტაკლი წარმოადგინა. ეს დიდების ფესტივალია და ჩვენი „ბერიკები" გამონაკლისის სახით მიიწვიეს. ნორჩმა ქართველმა მსახიობებმა დაამტკიცეს, რომ ნამდვილად იმსახურებდნენ ამ გამონაკლისს — „HELLADOS" ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს, მის მონაწილე მსახიობებს კი ქუჩაში აჩერებდნენ და ავტოგრაფებს სთხოვდნენ.

### 14 წლის სტუდენტი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლემ, 14 წლის პიანისტმა ქეთი ჭეფხოძემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები ვინტერტურის (შვეიცარია) კონსერვატორიაში და ამ პრესტიჟული უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტი გახდა. სექტემბრიდან ქეთი დაემშვიდობება თავის ამჟამინდელ პედაგოგს, ქ-ნ მედეა ქირიას და სწავლას პროფესორ იორგ შტერუბთან გააგრძელებს.

### ბრავო, მარიკა!

13 წლის ქართველმა მომღერალმა მარიკა თხელიძემ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ საბავშვო-ახალგაზრდულ საერთაშორისო ფესტივალზე „მილიონი საოცრება" მან „გრან-პრი" დაიმსახურა და მიიღო მიწვევა ორ ფესტივალზე „XXI საუკუნე" (ბულგარეთი) და „Bravo, Bravissimo" (იტალია).

### სარეაბილიტაციო ცენტრი ჭიათურაში

ჭიათურაში გაიხსნა სარეაბილიტაციო ცენტრი იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც ქუჩაში მოხვედრა ემუქრება. ცენტრისათვის განათლების სამინისტრომ ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა გამოყო. ჯერჯერობით ბავშვთა ერთჯერადი კვების უზრუნველყოფა საქველმოქმედო საქმიანობიდან შემოსული თანხებით ხერხდება, ახლო მომავალში კი ამ საკითხს გაეროს ბავშვთა ფონდი საკუთარი სახსრებით მოაგვარებს. დღესდღეობით სარეაბილიტაციო ცენტრში 7-დან 16 წლამდე ასაკის 150 ბავშვი იმყოფება, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან შეარჩიეს. ბავშვებთან პედაგოგების გარდა, იმუშავებენ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. სარეაბილიტაციო ცენტრის განათლების პროგრამას გაეროს ბავშვთა ფონდი აფინანსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის გულში, ქალაქ გორში არსებობს სტუდია-სახელოსნო, რომელშიც ტიხრული მინანქრის ტრადიციული ქართული ხელოვნების ამღორძინებელი, ბატონი ერმილე მაღრაძე ბავშვებს ამ უნატიფეს ხელოვნებას აზიარებს.



# „ღმერთო, ასწავლე მას, ვისაც უყვარს სწავლა"

გაუხუნარი მშვენიერებით, დახვეწილი მხატვრული ღირსებით, სტილის სინატიფითა და ფერების გამით გამორჩეული ქართული ტიხრული მინანქრის ძეგლები მსოფლიო ხელოვნების საგანძურის მშვენებაა. დღემდე მოღწეულ მინანქრის ქართველ ოსტატთა ნამუშევართაგან უძველესები მერვე-მეცხრე საუკუნეებით თარიღდება. შუა საუკუნეებში, ქვეყნის საერთო აღმავლობის ხანაში, ხელოვნების ამ დარგს საქართველოში ისეთივე სიმაღლეებისათვის მიუღწევია, როგორსაც ხუროთმოძღვრებამ, კედლის მხატვრობამ, ოქრომჭედლობამ მიაღწია.

გამოხდა ხანი და დაღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოში კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობაც შენელდა. ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად მინანქრის წარმოებაც ჩაქრა, XV საუკუნეში კი ამ დარგმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა და თუმცა ორი საუკუნის შემდეგ იგი თითქოს კვლავ აღორძინდა, დამზადების ტექნიკა ის აღარ იყო და შესაბამისად, ნახელავიც უფრო მდარე გამოდიოდა.

მერე და მერე მინანქრის წარმოების საიდუმლო საერთოდ დაიკარგა. ცხადია, იყო ცდები აეღორძინებინათ დარგი, აღედგინათ ტექნოლოგიური პროცესი, დაედგინათ სხვადასხვა ფერის სმალტის მოდუღების რეცეპტურა და წესი, მიეგნოთ ოქროს თხელი ტიხრების დაკავშირების ხერხებისათვის. ჯერ ქიმიკოსმა ირაკლი ტარუაშვილმა, მოგვიანებით კი პროფესიით მეტალურგმა ვაჟა ჩხაიძემ კიდეც მიაღწიეს საწადელს, თითოეული მათგანის მრავალწლიანი მცდელობა გარკვეული წარმატებით დაგვირგვინდა – მათ ტიხრული მინანქრის რამდენიმე ნიმუშის დამზადება შესძლეს. მაგრამ ეს იყო და ეს, რაიმე თეორიული ნაშრომი, სახელმძღვანელო, რომელზე დაყრდნობითაც მოხერხდებოდა დარგის ნამდვილი აღორძინება, არც მათ შეუქმნიათ. ისე რომ, შეიძლება ითქვას, ვიდრე მიზანს მიაღწევდა, ერმილე მაღრაძემ გაუკვალავი გზით იარა.

საშუალო სკოლა სოფელ მარელისში დაამთავრა, მერე ი. ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში სწავლობდა, შე-

საქართველოს ეროვნული

მდგომ სამხატვრო აკადემიაში, კოჯი მახარაძის სახელოსნოში ეუფლებოდა ფერწერის ხელოვნებას. მას შემდეგ კი რაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ბიზანტიური და ქართული ტიხრული მინანქრის მეგლების კოლექცია იხილა, იგრძნო, რომ სწორედ მინანქარი იყო მისი საქმე და ამ დარგის აღორძინება გადაწყვიტა. დაუოკებელი წადილით შეპყრობილი, რუდუნებით აგროვებდა ცოდნას, მარცვალ-მარცვალ კრებდა მწირ ცნობებს მინანქრის ირგვლივ, რაღაცას ვახტანგ მეექვსესთანაც მიაგნო, რაღაც უძველეს ტრაქტატში ამოიკითხა, რაღაც ძველმა ბერძნულმა წყაროებმა უკარნახა; მინიშნებებით მითითებულს თავისით შიფრავდა, ეთათბირებოდა ხელოვნებათმცოდნეებს, ქიმიკოსებს, მეტალურგებს; მოძიებულ ცნობებს ერთმანეთს ადარებდა, აჯერებდა. ყოველ საფეხურზე დაჯამებულ ცოდნას პრაქტიკულად სცდიდა. მინანქრის საღებავების მისაღებად საჭირო მინარევების მოსაპოვებლად მთელი თეძმის ხეობა დაიარა. მისი სახელოსნო ალქიმიკოსის სამუშაო ოთახს დაემსგავსა – ქილები, ხსნარები, ფხვნილები, მინერალები. რამდენი იწვალა, რამდენი პირი ოფლი მოიწურა, ხელიც რამდენჯერ დაიწვა, მაგრამ არაფერს ეპუებოდა. მერე ის ბედნიერი დღეც დადგა, როცა საიდუმლო ბოლომდე ამოიცნო. ახლა უკვე შეიძლებოდა უშუალოდ შესდგომოდა ნაკეთობის შექმნას. რაც მთავარი იყო, მინანქრები უკვე მოხარშული ჰქონდა, მაგრამ ოქროს უქონლობამ შეაფერხა. სწორედ მაშინ ამოუდგნენ მხარში საქვეყნო საქმის დიდი გულშემატკივრები, მაშინდელი გორის საზოგადოებრივი საკრებულოს თავკაცი ომარ ჩუბინიძე და დიმიტრი კალანდაძე, რომლებმაც საკუთარი ოჯახიდან გაიღეს წინაპართა ნაქონი ნივთები. ამ შემოწირულობების წყალობით მოახერხა პირველი ნამუშევრის შექმნა. ეს იყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული იმერეთის ვარძიის ღვთისმშობლის ერთ-ერთი მედალიონის ასლი.



ერმილე მაღრაძის ნამუშევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ერმილე მაღრაძე ტიხრული მინანქრის აღიარებული ოსტატია, მისი ნახელავი საყოველთაო მოწონებით სარგებლობს. ქართველი ხელოვანის ნამუშევრები – მედალიონები, ჯვრები, სამშვენისები მრავალ ქვეყანაში იყო გამოფენილი. მისი ერთ-ერთი ნამუშევარი – იოანე ღვთისმეტყველის გამოსახულებიანი მედალიონი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია გამოფენილი. 1991 წლიდან ბატონი ერმილე მუზეუმის მინანქრის განყოფილების ექსპერტ-კონსულტანტად მუშაობს. უნგრეთში, შვეიცარიაში საქმიანი ვიზიტით ყოფნისას ბატონმა ერმილემ ბევრი კოლეგა გაიცნო, ბევრი რამ ისწავლა მათგან, თავის მხრივ თვითონაც გაუზიარა თავისი გამოცდილება.

მაგრამ ყოველივე ეს ერმილე მაღრაძის მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილია, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვებთან მუშაობაა. ტიხრული მინანქრის ხელოვნების მომავალზე



გიორგი ჯოხაძე, 13 წლის



აჩიკო ჯირკველაშვილი, 13 წლის



თამუნა ალავერდაშვილი, 10 წლის



მარიამ მაღრაძე, 15 წლის



თინათინ მეფარიშვილი, 11 წლის



თორნიკე გოჩაშვილი, 11 წლის



ვახტანგ იგაძე, 12 წლის



ნინი ჯოხაძე, 11 წლის



სოფო მეცხვარიშვილი, 12 წლის

ფიქრით ბატონმა ერმილემ ჯერ თავისი შვილები — დავითი და მარიამი აზიარა ამ საქმეს, მერე კი სხვა შეგირდებიც შემოიკრიბა. დღეს მის მიერ დაფუძნებულ სტუდია-სახელოსნოში ათი გორელი ბავშვი სწავლობს მინანქარზე მუშაობას. ერმილე მასწავლებელი უშურველად გასცემს იმ ცოდნას, თვითონ რომ წლების მანძილზე აგროვებდა. თითოეულ თავის შეგირდში ოსტატი ხელოვნების ამ დარგის უძველესი ტრადიციების გამგრძელებელს თუ არა, მის დამფასებელს, მასზე მზრუნველს მაინც ხედავს და ყო-

ველი მათი წინწადგმული ნაბიჯი ლამის საკუთარ წარმატებაზე მეტად ახარებს.

როგორც ყველა საქმეში, აქაც დასაწყისი ძნელი იყო — სტუდიისათვის განკუთვნილი ფართი, შენობის მდგომარეობა ელემენტალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებდა, თავიდან არც სამუშაო იარაღები ჰქონდათ, არც მასალები, არც ინვენტარი, მაგრამ აკი ნათქვამია, თუ გული გულობსო... გულობდა გული და მერე როგორ — ბავშვების მშობლებმაც გამოიღეს ხელი, მეგობრებიც დაეხმარნენ, საქართველოს საბავშვო სტუდიების სრულყოფისათვის გამიზნულ პროექტში გამარჯვებისათვის გამოყოფილი ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს" გრანტიც ძალიან წაადგა საქმეს და სტუდია-სახელოსნოც თანდათან მოწესრიგდა. ზემოხსენებული ფონდის წყალობით ახლა გენერატორიც აქვთ და ასე ნანატრი სამუშაო ღუმელიც, რომელიც ხუთ წუთში იძლევა საჭირო ტემპერატურას. ახლა უკვე თითოეულს თავისი სამუშაო მაგიდა, საკუთარი ხელსაწყო-იარაღები და მათი შესანახი უჯრები აქვს. თავიდან ზოგიერთმა გული ვერ დაუდო, უჭირდათ საათობით ჯდომა და თავაუღებლად მუშაობა, ცელქობაზე ეჭირათ თვალი. დიდი მოთმინებითა და სიყვარულით უხსნიდა ერმილე მაწავლებელი ტიხრული მინანქრის ხელოვნების დიდებულებას, აჩვენებდა აზროვნებას, ასწავლიდა სხვადასხვა ტექნიკის ხერხებს, უნერგავდა მუშაობის ჩვევებს, მათთან ერთად კი ბავშვები მის მაგალითზე სიკეთის ქმნას, მოყვასის სიყვარულს, სამშობლოს სამსახურად მზადყოფნასაც სწავლობდნენ. ყოველ დღეს ახალი სიხარული მოჰქონდა, ყოველი მორიგი მეცადინეობა საკუთარი შესაძლებლობების ახალ მხარეს წარმოაჩენდა. მასწავლებელი თავს არაფერს ახვევდა, უბრალოდ უხსნიდა, ბიძგს აძლევდა, ძიების სურვილს უღვივებდა, სირთულის დაძლევის — მიგნების სიხარულს აზიარებდა. სანაკეთებო ქვების — თეძმის ამეთვისტოს, მინდვრის შპატის, მთის ბროლის, თაბაშირის, ალებასტრის მოსაპოვებლადაც ბევრჯერ გაუყოლებია ზურგჩანთებაკიდებული ბავშვები თეძმის ხეობაში, სოფელ ახალქალაქში, ჭყოპიანში თუ გრაკალში. ყოველივე ამის შემდეგ, განა გასაკვირია, რომ თუ მშობლებს რაღაც საქციელისათვის შვილის დასჯა უნდათ, აღარც უჯავრდებიან და აღარც ტუქსავენ, უბრალოდ უცხადებენ, ხვალ სტუდიაში აღარ წახვალო.

ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტად ღელავდა — ოსტატი თუ შეგირდები იმ გამოფენაზე, რომელიც შარშან, დეკემბერში მოეწყო სტუდიაში და რომელზეც აჩიკო ჯირგველაშვილს, თინათინ მეფარიშვილს, თამუნა ალავერდაშვილს, თორნიკე გოჩაშვილს, სოფო მეცხვარიშვილს, გიორგი და ნინი ჯოხაძეების, ვახტანგ ეგაძის, მარიამ და დავით მაღრაძეების ნამუშევრების გვერდით მათი მასწავლებლის, ერმილე მაღრაძის ნახელავიც იყო წარმოდგენილი. სიხარული სტუდიელთა ამ პირველმა გამოფენამ ყველას ერთნაირი მოუტანა, ხოლო დამთვალიერებელთა აღტაცებას გაოცებაც თან ახლდა, ნუთუ ყოველივე ეს ბავშვების ხელით არის შექმნილიო?!

ის გამოფენა ერმილე მაღრაძის სტუდიის მუშაობის მხოლოდ პირველი ეტაპის დამაგვირგვინებელი იყო. სტუდიელებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ და სრულყონ, ბევრს უნდა ჩასწვდნენ და ეზიარონ, ბევრი გაიგონ და შეისისხლხორცონ და ეჭვი არ არის, რომ თავიანთი კეთილშობილი, ზნესრული მასწავლებლისაგან ისინი ყველაფერთან ერთად საქვეყნო საქმის უხმაუროდ კეთებას, სამშობლოს უანგარო სამსახურსაც ისწავლიან.

მანანა კარგარეთელი

# ვლადიმერ ასლამაზიშვილი

# გუბეები ხეობაში

## მოთხრობა

ჩვენი სოფელი ხეობაშია შეყუჟული. ხეობის აქეთ-იქით აზიდული მთის ფერდობებიდან მერცხლის ბუდეებივით ლამაზაივნიანი სახლები გადმოყუდებულან და თითქოს თავს იწონებენო, ხეობაში ჩამდგარ, სარკეებივით გაბრწყინებულ გუბეებს ჩასცქერიან.

ამ გუბეებს ხეობაში მოლიცლიცე პატარა მდინარე აჩენს. აჩენს მაშინ, როცა წვიმს და მთების კალთებიდან წამოსული ნიაღვრები მდინარეს შეერევიან, აადიდებენ, გააგიჟებენ და გადარევენ. იმისთანა მოდის, მტრის კარს, არემარე თან მოაქვს; ვინ იცის, ადიდებულს რამდენჯერ დაუნგრევია გაღმა-გამოღმა სოფლის შემაერთებელი ხიდი და ხალხი უგზოობით დაუღონებია. მარტო ხიდის ნგრევა რა არის. შლის ხეობის ნაპირებს, მთის კალთებს, იტაცებს ღობეებს, საქონელს. ძირფესვიანად სთხრის ხეებს და თან მიაქვს.

ავდარი რომ გადაივლის, ხეობაში ტბასავით გუბეები რჩება. სხვა დროს კი მდინარე წყალმარჩხია, წყნარი, ნიათგამქრალი. წყალი ფეხის კოჭამდე გვწვდება. გვალვაში უფრო კლებულობს და რიყეში ძლივს მიიპარება. ასეთი მდინარე საბანაოდ ვის გამოადგება? ჩვენ კი – სოფლის გოგო-ბიჭობა, როცა ჩამოცხება და სუნთქვა ჭირს, შინ რა გაგვაჩერებს, მოვქუჩდებით ერთად, ხეობას დავუყვებით და საბანაოდ რომ გამოგვადგება, ისეთ გუბეს ვეძებთ.

უფროსები გვიშლიან გუბეებში ცურვას, ეშინიათ, რამე ფათერაკი არ დავიმართოთ. ვერაფერს რომ შეგვასმენენ, მოიტანს ვინმე ბულდოზერს და გუბეს ანგრევს, ქვაღორღით ასწორებს. ჩვენ მაინც არ ვემორჩილებით მათ სურვილებს და თვითონ ვაკეთებთ გუბეს. ვიპოვით ქვაბივით ჩაღრმავებულ ადგილს, ვეზიდებით ქვებს, სველ, წებოვან თიხას, ლამს, ვამტვრევთ ხის ფოთლოვან ტოტებს,ვგლეჯთ ბალახს და ვაგებთ ჯებირს. ჯებირი რაც მაღალია, წყალი მეტ სივრცეს იკავებს და ჩვენც თავისუფლად ვცურავთ.

მშენებლობას რომ მოვათავებთ, მდინარიდან წყალს გადმოვუგდებთ და ვაგუბებთ მანამდე, ვიდრე წყალი გვერდამდე არ მოგვწვდება.

გუბე ტბასავით ლივლივებს. ჩვენ სწრაფად ვიხდით ტანსაცმელს, მხიარული ყიჟინით ვცვივით წყალში, ვინ მკლაურით ცურავს, ვინ – ბაყაყურს.

მდინარის წყალი ცივია და გუბეში დიდხანს არ ვჩერდებით. კბილების კაჰუნით, ტანზე ტაოაშლილები მზით გაფიცხებულ რიყიანზე გავრბივართ, ზედ წავპირქვავდებით, რომ შიშველი მუცლები და მკერდი გავითბოთ. მერე გულაღმა ამოვბრუნდებით და თვალდახუჭულები მზეს ვუშვერთ ცივი წყლისაგან გაცრეცილ ცხვირ-პირს.

ბანაობა დიდხანს გვიგრძელდება. მანამდე. ვიდრე მუცლები ჭუჭყუნს არ დაგვიწყებს და შიმშილი თავს არ შეგვახსენებს. შიმშილით თავები რომ არ დავიხოცოთ, გამოსავალს ვპოულობთ: რომელიმე ჩვენგანი სადღაც ქრება. მიხედავ და უბეგამობერილი ხალათით გამოგვეცხადება. მოიტანს მტკაველ-მტკაველა კიტრს ან წითლად ალუღლუღებულ პამიდორს. ჩვენი ბაღისააო, იტყვის ეშმაკური ღიმილით და ჩამოგვირიგებს სასუსნავს. ვისი ბაღისაც არის, კარგად ვიცით. ჩუმი სიცილ-ხითხითით ვახრამუნებთ კიტრს, შუაზე ვხლეჩთ ვეებერთელა წითელ პამიდორს ან ვაშლივით ვკბეჩთ და ჩამოგვდის ნიკაპზე წუწი. კიტრსა და პამიდორს გემო რომ ჩავატანოთ, სიპებქვეშ ქაღალდში ან ცელოფანის ნაფხრეწში გახვეული მარილი გვაქვს დამალული. მოკლედ, მოწყობილი ვართ იმისთანად, კაცი რომ ინატრებდა, სულაც არ გვედარდება, საღამო ხანზე რომელი ბაღბოსტნის პატრონი დედაკაცი ჩამოიწყევლება და ქოქოლას გამოგვიგზავნის.

ხეობაში საბანაოდ ჩამოსვლა გოგონებმაც იციან. ისინი თითო-თითოდ ჩამოკიკვიდებიან მდინარესთან. გაცალკევდებიან და ფეხშიშველები, ტანთგაუხდელები შედიან ცივ წყალში. უიო, უიო, – კივიან და ერთმანეთს ებღაუჭებიან, წუწაობენ, იმისთანა წივილ-კივილი აქვთ, ინდიელ მეომართა შემოსევა გეგონებათ.

იმ დროს სიპებზე საკოტრიალოდ რაღა გაგვაჩერებს. ნაპირიდან ტყაპატყუპით ვცვივდებით გუბეში და იმათ ყურადღება რომ მივიქციოთ, ათასნაირ მაიმუნობას ვიგონებთ: ვჭიდაობთ წყალში, დავდევთ ერთმანეთს, ვყურყუმელაობთ...

გოგოები საბანაოდ დიდხანს არ ჩერდებიან მდინარეში. გაძვრებიან ახლომახლო ბუჩქებში, რომ გალუმპული, სიფრიფანა ჩითის კაბები გაწურონ.

ერთხელ კროლიკაანთ სოსომ ეშმაკურად ჩაიცინა და შემოგვთავაზა, მივიპაროთ ბუჩქებთან, ვნახოთ რას აკეთებენო. არავის მოგვეწონა იმის ნაყბედარი. იმისთანა ფინთი, უხეირო აზრი რომ აღარ მოსვლოდა თავში, ბიჭებმა ვტაცეთ ხელი და გუბეში გადავუძახეთ. წყალი ვაყლაპეთ, ისეთ დღეში ჩავაგდეთ, გვეხვეწებოდა მაპატიეთ, ვირობა მომივიდაო.

ზოგჯერ გოგოებმა თუ ჩვენკენ მოისურვეს გამოვლა, ვაი მაშინ ბოსტნებისა და ბაღების პატრონებს. სტუმრებს დახვედრა ხომ უნდაო! სწრაფად გადავიცვამთ ხალათებს, გავვარდებით, გამოვვარდებით და გუბესთან უბეებსავსენი გავჩნდებით. პირდაპირ რიყეზე ვყრით „ჩვენი ბოსტნის" ქ[illegible] კიტრებს, ცვრიან ღუდღუდა პამიდორს, ვაშლს, ქლიავს. იმ ნაპარავში სიმინდის ტაროებიც გამოერევა ხოლმე. ხელდახელ დავანთებთ ცეცხლს და გ[illegible] ნაკვერცხლებზე მიფიცხებულ ოქროსმარცვალა ტაროებს. შემწვარ სიმინდს ჯერ გოგოებს მივართმევთ. ისინიც იცინებიან მარცვალ-მარცვალ და ერთმანეთს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებენ, მერე იცინიან, იცინიან.

გოგონებს მოსწონთ კიტრიც, პამიდორიც, შემწვარი სიმინდიც.იფიცებიან, ასე გემრიელად არ გვიჭამიაო. არც რომ კიტრია „ჩვენი ბაღისა" და არც სიმინდი, განა არ იციან? მათი ბოსტნისაც რომ იყოს, ხმას არ ამოიღებენ, არ გაგვთქვამენ.

არის დღეები, როცა ცხელ ზაფხულს გრილი ამინდები გამოერევა. ცა პირს შეიკრავს. ხეობაში მთის ცივი ნიავი დაუბერავს, გაწვიმდება, წამოვა ჯანღი, კვამლივით ჩადგება ხეობაში. ყველგან ნისლი, გაუმჭვირვალე სითეთრეა. საკუთარ ეზოებს იქით ყველა საგანი თუ არსება გაუჩინარებულია. ამქვეყნად მარტო რომ არა ხარ, შენს ყურამდე მოღწეული ადამიანთა ხმები, ძაღლის ყეფა ან მამლის ყივილი გაგრძნობინებს. ხეობაში თანდათან მატულობს მდინარის ნაცნობი შხუილი, წვიმის წყლით წარმოშობილი ნაკადულები ემატებიან მდინარეს და ისიც ადიდდება, აბობოქრდება.

მშვიდობით ჩვენი ხელით ნაგებო გუბეებო, სადაც გადარეული მდინარე მისწვდება, წაშლის, გადაატრიალებს, რომ მერე თვითონ შექმნას, თავისი დაგვახვედროს.

ჯანღი და წვიმა რამდენიმე დღეს თუ გაგრძელდება და არ გამოიდარა, არ გამოიამინდა, უსაშველო მოწყენილობა გვეუფლება. ვართ სახლში შეკეტილები და გული სევდით გვევსება, რომ გარეთ ვერ გავსულვართ და ჩვენს გემოზე ვერ გვითამაშია. შევყურებთ მოპირქუშებულ ცას და გვენატრება მზე. როდის აიყრება ჯანღი. როდის ჩაცხრება მდინარის გიჟური სრბოლა. არა და რა ძალიან გვინდა ყმაწვილებს გუბეებთან ერთად შეხვედრა, წყალში ხტომა და ცურვა, მზის სხივებით გახურებულ სიპებზე გულაღმა წოლა და უსაშველოდ ლურჯი ცის სიღრმეში თეთრი გედებივით გაფრენილი ღრუბლების ცქერა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**N848 2001 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი**

**განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის სტიპენდიების მინიჭების შესახებ**

დამტკიცდეს განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიებისა და გრანტების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნოთ:

1. გრიგოლ აბაკელიას
2. ვასილ აბაშიძეს
3. ვახტანგ აბაშიძეს
4. მარიამ აბჟანდაძეს
5. გიორგი ავალიშვილს
6. მარიამ ავალიშვილს
7. ალექსანდრე აშაძეს
8. ქეთევან ბაკურაძეს
9. ბექარ ბართაიას
10. ნიკოლოზ ბერუჩაშვილს
11. გიორგი ბერძენიშვილს
12. პაატა ბიწაძეს
13. ფირუზ ბოლქვაძეს
14. ნინო ბულიას
15. ეკა გაბიტაშვილს
16. თაკო გაჩეჩილაძეს
17. ავთანდილ გახოკიძეს
18. თორნიკე გელაშვილს
19. ნინო გვეტაძეს
20. სოფიო გვეტაძეს
21. შალვა გოგოლაძეს
22. გიორგი გოდერიძეს
23. ბექა გოდერძიშვილს
24. ლევან გომელაურს
25. თათია გიორგობიანს
26. ლექსო გუგავას
27. ირაკლი გუნიას
28. ავთანდილ გურგენიძეს
29. ალექსანდრე ვასაძეს
30. ნატო ვეფხვაძეს
31. ანზორ თეთრაძეს
32. ნინო იმნაიშვილს
33. მარიამ ინაშვილს
34. ანა კავლელიშვილს
35. მარიამ კაჯაევას
36. გიორგი კეკელიძეს
37. გიორგი კვაჩხირიძეს
38. დავით კიკაბიძეს
39. ლევან კობახიძეს
40. თამარ კორძაძეს
41. თენგიზ კოშკაძეს
42. რეზო კოხრეიძეს
43. ნიკოლოზ ლაგვილავას
44. ელენე ლადარიას
45. თამარ ლიჩელს
46. სანდრო ლობჟანიძეს
47. რუსუდან მაზმანიშვილს
48. ქეთევან მათიაშვილს
49. ანა მათნაძეს
50. ელიზავეტა მარტიროსიანს
51. მიხეილ მებონიას
52. ნიკა მელქაძეს
53. ბესარიონ მეტონიძეს
54. ზვიად მეტრეველს
55. ვლადიმერ მკერვალიშვილს
56. გიორგი მუტაფიანს
57. ანდრო ნადირაძეს
58. კონსტანტინე ნანიტაშვილს
59. დეა ნარმანიას
60. თუთა ნარმანიას
61. მარიამ ნატროშვილს
62. გრიგოლ ოვანესიანს
63. ლუკა ოქროსცვარიძეს
64. უჩა პატარიძეს
65. ვახტანგ ჟორდანიას
66. თორნიკე ჟორჟოლიანს
67. გარი საფარიანს
68. ნელი სებისკვერაძეს
69. დავით სიჭინავას
70. მალხაზ ურჯუკაშვილს
71. ანა ფარჯიანს
72. სალომე ქათამაძეს
73. ელენე ქობულაშვილს
74. ივანე ქობულაშვილს
75. მარიამ ქსოვრელს
76. ეკატერინე ქუთათელაძეს
77. ზურაბ ქუჩუკაშვილს
78. ალექსანდრე ღლონტს
79. გურამ ღვინაშვილს
80. ირაკლი ყალიჩავას
81. მარიამ ყურაშვილს
82. თამარ შალვაშვილს
83. ონისე შარიას
84. სალომე შენგელიძეს
85. ნინო ჩაკვეტაძეს
86. გიორგი ჩანგაშვილს
87. თინათინ ჩხიკვიშვილს
88. ზურაბ ჩხოტუას
89. არჩილ ცისკარიძეს
90. კახა ცისკარიძეს
91. ნანა ძაგნიძეს
92. ნიკოლოზ ჭანყოშვილს
93. ალექსანდრე ჭაოჭიძეს
94. ინგა ჭარუაშვილს
95. ვახტანგ ხარატიშვილს
96. დავით ხატიძეს
97. ნუნუ ხეცურიანს
98. ვახტანგ ჯავახაძეს
99. გიორგი ჯანანაშვილს
100. ბადურ ჯობავას

ე. შევარდნაძე

# მახას და ზანდურის დაბრუნება

მახა და ზანდური ქართული ენდემური ხორბლის ჯიშებია, რომელთაც სათავე დაუდეს ქართულ კულტურულ ხორბალს. დღეს ორივე გადაშენების პირასაა მისული, ხოლო ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ შემოსული თავთავები ძირს ცვივა და თუ სასწრაფოდ არ აიღებენ, ზარალი გარდაუვალია, დაცვენილი თავთავების აკრეფა ძალზე შრომატევადიცაა. მაგრამ ორივე ამ ჯიშს ღირსებაც ბევრი აქვს: უხვმოსავლიანია, პური გემრიელია და რაც მთავარია — სასელექციოდ არის ძალზე კარგი.

ათეულობით წლების წინ დიდმა მამულიშვილმა და ბუნების ქომაგმა ნიკო კეცხოველმა მოსწავლეებს მოუწოდა, ხელი მოეკიდათ მახას და ზანდურის დათესვა-გამრავლებისათვის. მაშინ ამ მოწოდებას წყალტუბოს რაიონის სოფელ მექვენის და თბილისის 140-ე სკოლის მოსწავლეები გამოეხმაურნენ. ნიკო კეცხოველის ხელშეწყობით მიღებული ხორბალი მათ სკოლის ნაკვეთებზე დათესეს, აღებული მოსავალი კი სკოლებს გაუნაწილეს გასამრავლებლად.

გამოხდა ხანი და მახაც და ზანდურიც ისევ გაუჩინარდა, სამაგიეროდ, ამ გენოფონდის სიკეთით უცხოეთის ქვეყნებმა ისარგებლეს და ენდემური ქართული ხორბლის საფუძველზე უხვმოსავლიანი ჯიშები გამოიყვანეს (დღეს გამოყვანილია 30-მდე ასეთი ჯიში). ჩვენში კი მახას და ზანდურის დღესაც არავინ აქცევს ყურადღებას, თუმცა როგორც ახლახან გავიგეთ, ამ ჯიშებს სრულიად მოულოდნელად მზრუნველები გამოუჩნდნენ — თურმე ხაშურის რაიონის სოფელ ალის სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მახაც მოჰყავთ და ზანდურიც. გვიამბობს ამ სკოლის მეათეკლასელი ლევან ნოზაძე.

*— ლევან, როგორ გაჩნდა თქვენი სკოლის ნაკვეთზე მახას და ზანდურის ყანა, თესლი საიდან მოიტანეთ?*

— 1999 წელს ჩვენი სკოლის ნაკვეთზე ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „დიკას" თანამშრომლებმა ტარიელ ბერიშვილმა და ივანე ლოლაძემ დათესეს პეტერბურგიდან ჩამოტანილი ხორბლის ეს ჯიშები, სადაც მათ თესლი 15-20 წლის წინ წაუღიათ სასელექციოდ.

*— მშობლიურმა მიწამ როგორ მიიღო ამ ხნის განმავლობაში ჩრდილოეთს შეგუებული ხორბალი?*

— მახამაც და ზანდურმაც კვლავ ლაღად გაიდგეს ფესვი თავიანთ ძირძველ სამშობლოში, მოსავალმა სრულად გამოავლინა მათი თვისებები. ნაკვეთს მოსწავლეები ვუვლით. გვეხმარებიან და რჩევა-დარიგებებს გვაძლევენ ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელი ალექსანდრე ნოზაძე, ასევე ასოციაცია „დიკას" თანამშრომლები. მათ სემინარებსაც ვესწრებით ხოლმე, რომლებზეც თავს იყრიან ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის და დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან შემოსული ბიოფერმერები. დაკვირვებებს პირადად მე ვაწარმოებდი და რვეულში ვწერდი ყოველგვარ ცვლილებებს აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე.

*— შენი დაკვირვებით, რით განსხვავდება ეს ორი ჯიში სხვა ხორბლისაგან?*

— მახა საშემოდგომო ხორბალია, ნაკლებმომთხოვნია გარემო პირობებისადმი, სოკოვანი დაავადებებით არ ავადდება, მრავალთავთავიანი, ესე იგი, უხვმოსავლიანია (სელექციონერებმა სწორედ ეს თვისება უნდა გადაიტანონ სხვა ჯიშის ხორბალში). მახას ყანაში მინერალური და ორგანული სასუქი არ დაგვჭირვებია.

ზანდური საგაზაფხულო ჯიშია, მაგრამ შემოდგომითაც თესენ. (სიცივეს კარგად იტანს). ესეც უხვმოსავლიანია, გამძლეა ყოველგვარი დაავადებებისა და მავნებლებისადმი. ზანდურის მარცვალი დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას, ამიტომ მისი ფქვილისაგან გემრიელი და სურნელოვანი პური ცხვება. ზანდური თითქმის ყოველნაირ ნიადაგზე მოდის, და კიდევ — რაც ჩვენი პირობებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია — ამ ხორბალმა განსაკუთრებული გამძლეობა გამოიჩინა გვალვისადმი.

ამ ჯიშების შესახებ იმდენი რამ შევიტყვე და ვისწავლე, რომ თემაც დავამუშავე და მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში კონფერენციაზე წარვადგინე. ამ თემისათვის პირველი ხარისხის დიპლომი დავიმსახურე.

მედეა ღუდუშაური





ეკა თუშიშვილი გამოსაშვებ საღამოზე სკოლის დირექტორის მოადგილე ირინა პოლიაკოვასთან ერთად.



# ეკას მშობლებს მადლობას ინტერნეტით გადაუხადეს

როდესაც თუშიშვილების ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, პატარა ეკა ციცო ბებოსთან დატოვეს, თბილისში. სკოლაში შესვლამდე ეკა მშვიდად იზრდებოდა – შინაურებთან თბილი იყო, უცხოებთან – მიმნდობი, თავისივე ღრმა სამყაროში სიკეთით სავსე, შავი თვალებით იმზირებოდა, როგორც ყველა მის თანატოლს, ბავშვური ჭკუა გასართობს არ ულევდა.

ერთ დღეს ციცო ბებომ მოსკოვში დარეკა და ეკას მშობლებს – ქეთინო და ბადრი თუშიშვილებს აუწყა: ბავშვი აუცილებლად ამერიკელების სკოლაში უნდა შევიყვანოთო; ბახტრიონის ქუჩაზე ის-ის იყო გაიხსნა „მომავლის სკოლა'', სადაც ყველა საგანი ინგლისურ ენაზე ისწავლებოდა. მშობლებმა იფიქრეს, ეს ბოლო ხანი ბავშვი ბებიასთან იზრდება და მის მონაცემებს უთუოდ ბებია უფრო კარგად ხედავსო და გადაწყდა, ეკა „მომავლის სკოლაში'' შეეყვანათ.

როგორც დღეს თავად ეკა ამბობს, ამ სკოლაში ყველაზე დიდი დაინტერესება ის იყო, რომ კარგად სწავლის შემთხვევაში მოსწავლეებს „მერიტებს'' აძლევდნენ. (მერიტებს ფულის ღირებულება აქვს). თბილისის პირობებისათვის აქ სწავლის ხარისხიც მკვეთრად განსხვავებული იყო, სახელმძღვანელოებიც და შეფასებაც. ეკა თუშიშვილი სიამოვნებით აჰყვა სკოლაში დამკვიდრებულ სწავლის რიტმსა და წესს და ყოველდღიურ შრომას მიეჩვია.

მე-6 კლასიდან ეკა საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, მშობლებთან და ძმასთან. იქ მან ბრწყინვალედ გაიარა ტესტირება და ჩაირიცხა თბილისური სკოლის ანალოგიურ ამერიკულ სასწავლებელში – „ხვალინდელი დღის მოდელური სკოლა''.

ქართველი ეკა თუშიშვილი მთელ სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ გამორჩეულად ნიჭიერ მოსწავლეთა შორის.

პირველი ჯილდო 1998 წელს მიიღო. ეს იყო სუპერვაიზერის, ანუ სკოლის პედაგოგის ჯილდო, რომელიც გადაეცემა თანატოლებში ყველაზე საუკეთესო მოსწავლეს. ჯილდოს მიღების შემდეგ ეკა თუშიშვილს და მის მშობლებს ინტერნეტით დიდი მადლობა გამოუცხადეს.

მეორედ 1999 წელს დააჯილდოვეს, როგორც იმ წლის საუკეთესო მოსწავლე. ჯილდო პირადად დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების ანალოგიური სკოლების პრეზიდენტმა ბატონმა მაიკლ შოუოლტერმა გადასცა. ეს არის დიდ მაკაგონზე ამოტვიფრული ოქროსფერი პალმის რტო და იმდენად ძვირფასი ნახელავია, რომ აეროპორტში ანტიკვარი ეგონათ და სერტიფიკატის გარეშე არ ატანდნენ.

ეკას წინასწარ სთხოვეს ჯილდოს გადაცემის ცერემონიალზე სამადლობელი სიტყვით გამოსულიყო. იმ საღამოს ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა – ქართული ეროვნული კაბა ჩაიცვა, სამადლობელი სიტყვა ინგლისურად წარმოთქვა და ზედ შოთა ნიშნიანიძის ლექსიც ქართულად დააყოლა. – იმ საღამოს ბედნიერი ვიყავი, – იგონებს ეკა, – უნდა გენახათ რა ხდებოდა დარბაზში... აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და დარბაზიდან ჩემი სკოლელი მეგობრები პაწაწინა ქართული დროშებით მესალმებოდნენ... ბედნიერებისაგან ავტირდი და კიდევ უფრო მეტად მომენატრა ჩემი სამშობლო, ჩემი თბილისი...

მესამე ჯილდო წარჩინებული სწავლისათვის მიიღო შარშან. იგი კონკურსის მონაწილე 800 მოსწავლეში საუკეთესოდ აღიარეს.

მერე 2001 წლის მაისიც დადგა. მოსკოვში, კულტურის ცენტრ „ცისარტყელას'' სააქტო დარბაზში ამერიკული „ხვალინდელი დღის მოდელური სკოლის'' გამოსაშვები საღამო შედგა. საღამოზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში თექვსმეტი წლის თბილისელი გოგონა ეკა თუშიშვილი მოექცა. – „ეკა არის ჩვენი სიამაყე, ჩვენი სკოლის პირველი გამოშვების პირველი ფრიადოსანი. სამი სასწავლო წლის საუკეთესო მოსწავლის ჯილდოების მფლობელი, ოთხი ენის მცოდნე, მსოფლიოს ელიტარული სკოლების აქტიური წევრი...'' – ასე დაიწყო თავის გამოსვლა სკოლის დირექტორმა ლეონიდ სტოლიარჩუკმა, ხოლო დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ანალოგიური სკოლების პრეზიდენტმა, მაიკლ შოუოლტერმა პერსონალური მადლობა გადაუხადა ქეთინო და ბადრი თუშიშვილების ოჯახს ასეთი შვილის გაზრდისათვის. (დასანანია, რომ ბ-ნი მაიკლი ბებოს არ იცნობდა, თორემ მას კიდევ ცალკე გადაუხდიდა მადლობას). ასეთ ამაღელვებელ ვითარებაში ეკას გადაეცა წარჩინებული კურსდამთავრებულის საპატიო დიპლომი.

შარშან მოსკოვში იყვნენ შვეიცარიის სასტუმრო მენეჯმენტის კოლეჯის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაატარეს ღია კარის დღე და რვაასი მოსწავლიდან, ტესტების მიხედვით ეკას კანდიდატურა შეარჩიეს. ხოლო ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ზაფხულში ფრანგული ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით ეკა ორი თვით შვეიცარიაში იყო. იანვრიდან კი ქ. მონტრეუმში (შვეიცარია) შეუდგება სწავლას. პირველი წლის შემდეგ მენეჯერის დიპლომს მიიღებს, მეორე წელს – ბაკალავრისას, მესამე წელს კი – მაგისტრის წოდებას. ამის შემდეგ ეკას ინგლისში ექვსთვიანი პრაქტიკა ელის...

მერე კი... მერე ეკა თუშიშვილი მრავალმხრივ განათლებულ, მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებულ სასტუმრო მენეჯმენტის სპეციალისტად დაუბრუნდება საქართველოს და გვერდში ამოუდგება თავის თანატოლებს, რომლებმაც საკუთარ მხრებზე უნდა იტვირთონ საქართველოს აღორძინების საქმე.

ქეთევან ტაბატაძე



და-ძმა ეკატერინე და დავით თუშიშვილები დაჯილდოების ცერემონიალზე მოსკოვში.

# თუ ჯერ არ იცნობთ, გაიცანით – ჰარი პოტერი, ჯადოქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ძნელი დასაჯერებელია, რომ ოთხი წლის წინ მსოფლიოში არავის გაეგონა ჰარი პოტერის შესახებ, გამომცემლობები კი ცივი უარით ისტუმრებდნენ ჯოან ქეთლინ როლინგს, რომელიც ხან ვის სთავაზობდა მომავალი წიგნის ხელნაწერს, ხან ვის...*

*დღეს წიგნები ჰარის შესახებ თარგმნილია 42 ენაზე, მისმა საერთო ტირაჟმა კი 76 მილიონს გადააჭარბა.*

ჯოან როლინგის ცხოვრება ზღაპრული გერიას ბედს ჰგავს. ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტი ჯოანი კარგა ხანს უმუშევარი იყო. 1990 წელს იგი პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ინგლისურს ასწავლიდა. გაკვეთილებს ნასადილევსა და საღამოს საათებში ატარებდა, დილაობით კი წიგნს წერდა. პირველი ორი წიგნი, რომლებიც უფროსი ასაკის მკითხველებისათვის იყო განკუთვნილი, თვითონვე დაიწუნა და სანაგვე კალათაში მოისროლა. ახალი წიგნი საბავშვო იყო, მისმა მთავარმა გმირმა, ჰარიმ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ჯადოსანი იყო, სწორედ მისი არაჩვეულებრივი თავგადასავლების შეთხზვა დაიწყო ჯოანმა. მაგრამ ამასობაში დედა გახდა, მერე ქმარს დასცილდა და პატარა ჯესიკას სულ მარტო ზრდიდა. უჭირდა, როცა სახლში ძალიან ციოდა, მახლობელ პატარა კაფეში მიდიოდა გასათბობად და იქ ცალი ხელით ჯესიკას არწევდა, მეორეთი კი წერდა ზღაპარს ჰარი პოტერზე. ჰარის ძალზე კეთილშობილი, განათლებული და ნიჭიერი ჯადოსანი დედ-მამა ჰყავდა, მაგრამ ისინი ბოროტმა ჯადოქარმა ვოლდემარმა მოკლა. ჰარი რომ წამოიზარდა, ერთხელ ბუმ წერილი მიუტანა, რომელშიც ეწერა, რომ იგი ჩარიცხულია ბრიტანეთის კუნძულზე საუკეთესო, ჰოგვარტის ჯადოქრობის დახურულ სკოლა-ინტერნატში. ჰოგვარტის სკოლაში სხვა საგნებთან ერთად ასწავლიდნენ ცოცხით ფრენას, ასანთის ღერების ნემსებად გადაქცევას და კიდევ სხვა უამრავ საოცრებას. სკოლაში ჰარის ბევრი მეგობარიც გამოუჩნდება და ბევრი მტერიც. უამრავი სიძნელის გადალახვისა და დაუჯერებელი თავგადასავლის შემდეგ პატარა ჯადოქარი ბოროტს ამარცხებს და ფილოსოფიური ქვის საიდუმლოსაც ამოიცნობს...

მაშინ მწერალ ქალს ერთადერთმა გამომცემლობამ – „ბლუმსბერმა" მოუწონა წიგნი, რომელმაც სულ 4000 გირვანქა სტერლინგად (6 ათასი დოლარი) შეიძინა მისი ხელნაწერი, თუმცა მაინცდამაინც დიდი ხეირი ვერც თვითონ ნახა (12 ათასი). სამაგიეროდ, მერე, როცა მკითხველმა ჰარი პოტერის თავგადასავლებს გემო გაუსინჯა, წარმოუდგენელი ბუმი ატყდა.

იმავე 1997 წელს ჯოან როლინგის წიგნი ბრიტანეთში საუკეთესო წიგნად აღიარეს. ცოტა ხანში „ჰარი პოტერი" ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გამოვიდა, შარშან კი იგი ჩინურად თარგმნეს და 600 ათასიანი ტირაჟით გამოსცეს, მერე წიგნი რუსულ ენაზეც გამოჩნდა. დღეს მსოფლიო ბესტსელერად აღიარებული ჰარის თავგადასავლები წიგნების ყველაზე პრესტიჟულ რეიტინგებში



უცვლელად პირველობს. ამასობაში პირველ წიგნს – „ფილოსოფიური ქვა", მოჰყვა „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი", „ჰარი პოტერი და აზკაბანის პატიმარი", „ჰარი პოტერი და ცეცხლის თასი". მომავალში როლინგი ჰარის თავგადასავლებზე კიდევ სამი წიგნის დაწერას აპირებს.

ჰარიმ მთელი მსოფლიო დაიპყრო, მას უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. გოგო-ბიჭები ჰოგვარტის ფაკულტეტებისგამოსახულებიან მაისურებს იცვამენ და მხოლოდ ჰარისეულ მრგვალ სათვალეს იკეთებენ, მისი ფან-კლუბები და ფან-საიტები გაჩნდა ინგლისში, აშშ-ში, იაპონიაში, ინტერნეტი აჭრელებულია ზღაპრული გმირის მრავალფეროვანი პერსონალური საიტებით, გაჩნდა ტერმინი „პოტერომანია".

მთელი მსოფლიოს ბავშვებმა შეიყვარეს ჰარი – თავიანთი გულადი, წესიერი, გულმოწყალე, სუსტებისა და უმწეობის ქომაგი თანატოლი, რომელიც ბევრ მათგანს ეხმარება ავადმყოფობასთან გამკლავებაში, შიშისა და სიძნელეების დაძლევაში, ბოროტებასთან ბრძოლაში. ყველაფერთან ერთად ჯოან როლინგმა ბავშვები ტელევიზორებსა და კომპიუტერებს მოწყვიტა და მათ წიგნისადმი ინტერესი დაუბრუნა.

ერთხელ ედინბურგში წიგნის ერთ-ერთ ბაზრობაზე, მაგიდას, სადაც მწერალი ავტოგრაფებს არიგებდა, პატარა გოგონა მიუახლოვდა და გაბუტულმა უთხრა: „მე არ მინდა, რომ აქ ამდენი ხალხი იყოს – ეს ჩემი წიგნია!" ჯოან როლინგის აზრით, ეს მისი წიგნის საუკეთესო შეფასებაა.

შარშანდელი ზაფხულის მონაცემებით, სულ გაყიდულია 720 მილიონი დოლარის წიგნები ჰარი პოტერის შესახებ. თანამედროვე ზღაპარს მისი ავტორისათვის ყოველწლიურად 30-40 მილიონი დოლარი მოაქვს. ახლახან ჯოან როლინგმა ბრიტანეთის მარტოხელა დედებისა და მარტოხელა მამების ეროვნულ საბჭოს ქველმოქმედების სახით 725 ათასი დოლარი შესწირა.

# მხოლოდ სტატისტიკა





სადღეისოდ თბილისში 14 წელზე პატარა 18 ათასი არასრულწლოვანი მუშაობს. დასაქმებული ბავშვების დიდი უმრავლესობა სრული დატვირთვით მუშაობს, ეს კი კანონის დარღვევაა.



* * *

12-17 წლის ბავშვებში ჩატარებული გამოკვლევის შედეგებით, არასრულწლოვანთა 80 პროცენტი ამა თუ იმ სიხშირით სვამს ალკოჰოლს, მათი 30 პროცენტი კი ქრონიკული ალკოჰოლიზმით არის დაავადებული. გამოკითხულთა უმრავლესობას ალკოჰოლიანი სასმელების მიღება უარყოფით მოვლენად არ მიაჩნია. თითქმის ყველა მათგანს ჰქონია ნარკომანთან ურთიერთობა (ნათესავთან, ამხანაგთან, ოჯახის წევრთან, მეზობელთან); მათი ექვსი პროცენტი სხვადასხვა ინტენსიურობით იღებდა ამა თუ იმ სახის ნარკოტიკს, ხოლო 15-17 წლის მოზარდთა 58 სიმპათიით ეკიდება ნარკომანებს.

* * *

3600 მეტი ბავშვი მოთავსებულია 42 სხვადასხვა სახის დაწესებულებაში: უპატრონო ბავშვთა სახლებში, ინვალიდთა სახლებში, არასრულწლოვანთა გამასწორებელ კოლონიებში.

* * *

აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილი 104 ათას ბავშვს რეაბილიტაცია ესაჭიროება.



* * *

700 ათასზე მეტი ბავშვი სიღარიბის ზღვარზე მყოფ ოჯახებში ცხოვრობს.

* * *

მათხოვარი და ქურდბაცაცა ბავშვების საშუალო ასაკია 10 წელი. მათხოვარი ბავშვების დაახლოებით ერთი მეხუთედი უსახლკაროა და ღამეს ქუჩაში ათენებს.

* * *

7-17 წლის გოგო-ბიჭების თითქმის 60 პროცენტი სწავლას სამუშაოს უთავსებს. ამ ბავშვების უმრავლესობა სოფლებში ცხოვრობს, ასეთების 70 პროცენტს გოგონები შეადგენენ.

* * *

2795 გამოკითხული 17 წლამდე ასაკის ლტოლვილი ბავშვის 10 პროცენტი ობოლია, ერთი პროცენტი — ინვალიდი, 0,4 პროცენტს ფსიქიკური გადახრა აქვს, ხოლო ერთი პროცენტი ქრონიკული ავადმყოფია.

* * *

12-17 წლის მოზარდების 43 პროცენტმა არაფერი იცის იმ დაავადებებზე, რომლებიც სექსუალური გზით გადაედება, 48 პროცენტს კი არაფერი გაუგია შიდსის შესახებ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ბურნაძე - წიწიკაშვილი

## ცად ამაღლდება ტაო დიდგორით

არც ,,დედა-ენა'' დამიწერია,
არ შემიქმნია მე არც სამყარო,
მინდა მივადგე ჩოქვით ელიას,
ქვეყნის სვე-ბედით გავისამკალო,
ვაჰს დავუკოცნო თვალი მტირალი,
ცისარტყელების ლამაზ ფერებად,
ქართლის გულიდან გადმომდინარე
მირონი მეკვლედ დამებედება.
დე, ედიადოს მთები ზანმაროს,
კოჯორი რწმენის ალით იწვოდეს,
ხსოვნამ წარსული მოადაფნაროს,
(აწმყო მომავლით გამოვილოცვეთ).
ქამი წალეკავს მზერას ეჭვნარევს,
ცად ამაღლდება ტაო დიდგორით...
მე?.. მტკვარი ისე გავიმიჯნურე,
ჯვარი დავიწერ ქორონიკონით.

## ბოლმად დაინთქა წუხელ თემამი

ბოლმად დაინთქა წუხელ თემამი,
მთებს მხრებზე ნისლის ფრთები ებურათ,
სისხლით შეღებილ შავლეგს ვეძახდი,
ვაჰმე!.. ტკივილში გარინდებულა!..

## მამულო, ლოცვად ნუ გამიოცებ!

რომ ავმეტყველდი ღმერთის ენაზე,
ალბათ უფალმა ასე ინება,
მოვამაქმანებ ფერთა სინაზეს,
ტაეპთა რიტმში გასეირნებას.
ბალახს როს დაჰბანს წვიმის შხეფები,
ბუნების ჰანგზე მღერა მინდება,
ახალი აღთქმით მივეგებები
მთების კალთებზე ჩამობინდებას.
ქარი ქვითინებს, ჩვილ გულს იოსებს,
ათავისუფლებს ფოთლებს თავდებით...
მამულო, ლოცვად ნუ გამიოცებ,
შენს ტკივილებში განვმარტოვდები!

ქეთევან დოლიძე

## გაუცხოებულ ქართველს

იმაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს, რომ ქართველი იყო და საქართველოში საავარაკოდ – სტუმრად ჩამოდიოდე და იმაზე დიდი ცოდვა რა უნდა იყოს, რომ ქართველი იყო და ქართული არ იცოდე.

ავტორი

საითკენ მიჰქრის უბელო რაში,
საითკენ მიაქვს ფოთოლი ნიავს,
ვინ აგირია მამულის გზები,
ლურჯი სიზმრები ვინ აგირია.
დაგვიწყებია შენი ენა და
დაგვიწყებია ძველი ადათი,
თუკი ზამთარში საქართველოში
ბელურის ბუდე აღარ გადარჩება.
თუ არ გაქრქოლებს ულაყის სუნთქვა
და არც ბალახის ფეხზე შეხება,
შენთვის სულ ერთი იქნება ალბათ,
რამდენი მუხა აიჩეხება.

თუ სტუმარივით უყურებ თეთნულდს,
თუ არ გაგინგრევს გული საგულეს,
თუ სამშობლოზე მეტად აფასებ
გადამთიელი სატრფოს საყურეს.
უბედური ხარ ყველაზე უფრო
და საწყალობლად მკაცრად დასჯილი,
ბილიკებიდან კვლავაც მოგიხმობს
შენი წინაპრის მრთალი აჩრდილი

საითკენ მიჰქრის უბელო რაში,
საითკენ მიაქვს ფოთოლი ნიავს,
ვინ აგირია მამულის გზები
ლურჯი სიზმრები ვინ აგირია.

**ერთი თქვენგანი**

# როგორ აუხსნის ნინიკო სიყვარულს ცხენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ნინიკოს არ ახსოვს, რამდენი წლისა წაიყვანა ლია ბებიამ პირველად კონცერტზე (ქ-ნი ლია ლომიაშვილი თბილისის კონსერვატორიის პროფესორია), ხორავა-მელაძე-ლომაშვილი-მუნჯიშვილების დიდ მუსიკალურ ოჯახში კი იხსენებენ, რომ გოგონა მაშინ სამი წლის იყო. კიდევ სამი წლის შემდეგ იგი რ. ლაღიძის სახელობის მე-4 სამუსიკო სკოლაში მიიყვანეს, პატარა ნინიკო საორკესტრო განყოფილებაზე ვიოლინოს კლასში ჩაირიცხა პედაგოგ ასიკო მეგრელიძესთან. მან იმთავითვე დიდ მუსიკალურ ნიჭთან ერთად ყოველი მუსიკოსისათვის აუცილებელი შრომისმოყვარეობა და გულმოდგინებაც გამოიჩინა, მაგრამ უფროსებს უფრო იმით აკვირვებს, რომ ყოველთვის სიამოვნებით იღებს ხელში საკრავს და საოცრად გრძნობს მას. პატარა მუსიკოსი და ვიოლინო ისე უგებენ ერთმანეთს, თითქოს პირველს მეორე მოთვინიერებული ჰყავდეს. გამოცდილი პედაგოგი ბ-ნი ა. მეგრელიძე დიდ იმედებს ამყარებს მოწაფეზე და საინტერესო შემოქმედებით მომავალს უწინასწარმეტყველებს. საამისო საფუძველს კი მას თუნდაც ნინო მელაძის მიერ ამ გაზაფხულზე თბილისის სამუსიკო სკოლების III საქალაქო კონკურსზე მოპოვებული წარმატება აძლევს. ამ კონკურსზე ნინიკომ ფ. დავიდის , ე. ჯენკინსონის, ბახის და კომაროვსკის საკმაოდ რთული ნაწარმოებები შეასრულა და ლაურეატობა და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.



მოწაფის შესაძლებლობებიდან და უკვე მოპოვებული წარმატებებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა მას საზაფხულოდ დიდი და სერიოზული დავალება მისცა — ვივალდის კონცერტის „ლა მინორი“ სამივე ნაწილი. ამ ნაწარმოებს ნინო მელაძე ორკესტრთან ერთად, შეასრულებს. ეს ნორჩი მევიოლინეს ორკესტრთან ერთად გამოსვლის დებიუტი იქნება და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ იგი წარმატებით ჩაივლის.

ნინოს ძალიან უყვარს ცხოველები, განსაკუთრებით კი ცხენები. რატომ მაინცდამაინც ცხენები, არ იცის, ის კია, რომ ცხენს რომ დაინახავს — ეკრანზე იქნება, მინდორში თუ გზის პირას, უმალ სახე უნათდება. თუ ისე მოხდა, რომ ვიოლინოთი ხელში ცხენთან პირისპირ აღმოჩნდება, სიყვარულს ულამაზესი ტრელებით აუხსნის, ტრელები ცხენის ჭიხვინს ჰგავს და იმიტომო, — ასე ამბობს თვითონ.

ნინიკოს კიდევ ერთი დიდი სიყვარული და გატაცებაა ხატვა. მისი ნახატებით აჭრელებულია არა მარტო სახატავი თუ საწერი რვეულები, არამედ კედლები და კარებიც. ძერწვაც ეხერხება.

დეიდის მიერ ჰოლანდიიდან გამოგზავნილი საუცხოო ფერადოვანი პლასტელინისგან ათასნაირ











ფიგურებს ძერწავს, ვიდრე გამოელეოდა, ფიგურებს თაბაშირშიც ასხამდა. მშვენიერი კოლაჟები გამოსდის, შეუძლია სულ უბრალო ნაკუწებისაგან საოცარი კომპოზიციები შექმნას, ექსპრომტად მუშაობს. თოჯინებიც საკუთარ ნახელავ ტანსაცმელში ჰყავს გამოწყობილი.

ყველაფერთან ერთად ნინოს წიგნების კითხვაც ძალიან უყვარს. წაკითხული აქვს თავისი საყვარელი ლინდგრენისა და ჯანი როდარის ქართულ ენაზე თარგმნილი თითქმის ყველა ნაწარმოები. განსაკუთრებული ინტერესით წაიკითხა „პაგანინის ცხოვრება"...

დედა ემდურება (ქ-ნ ხათუნა ხორავას თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული), ცელქიაო, თვითონ ნინოს კი მიაჩნია, რომ, დედისეული სამკაულების დაშლა-აწყობა, საკუთარ ზომაზე მორგება და სხვა ამნაირი საქციელი ცელქობაში არ უნდა ჩაეთვალოს, ხომ არ ვაფუჭებ, უბრალოდ სახეს ვუცვლიო. ეტყობა, შემოქმედის ბუნება არც აქ ასვენებს, სულ ეძებს, სულ ოცნებობს, სულ ქმნის...

# „ჩემი სამშობლო XXI საუკუნეში"

საკონტროლო წერა თემაზე:
„ჩემი სამშობლო XXI საუკუნეში"
წერენ თბილისის 51-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები.
(კლასის დამრიგებელი ნინო ბერაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველოს დაპყრობას ბევრი სახელმწიფო ცდილობდა, მაგრამ ქართველი ხალხი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და ასე ადვილად არ თმობდა თავისუფლებას. ასე მოვიდა საქართველო მე-20 საუკუნის მიწურულამდე, მაგრამ მან ბოლომდე ვერ შეინარჩუნა მთლიანობა და დაკარგა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები.

ახლა ოცდამეერთე საუკუნის პირველი წელია. ჩვენ ამ საუკუნის მომავალი თაობა ვართ და ჩვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

XXI-საუკუნეში ჩემი სამშობლო გაძლიერდება, განვითარდება. დაიბრუნებს თავის დაკარგულ ტერიტორიებს და საქართველოში აღარ იქნება აღარცერთი ლტოლვილი. იქნება მთლიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. აღარ იქნება ამდენი უმუშევარი, ქუჩაში სამათხოვროდ გამოსული ბავშვები და ქალები. ყველას ეყვარება ერთმანეთი და ქუჩაში მომღიმარნი და ბედნიერნი ივლიან. ყველა გააკეთებს თავის საყვარელ საქმეს. არ იქნება ომი და ყველა იცხოვრებს ბედნიერად.

მაია ნასყიდაშვილი

მართლაც ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება ჩემი სამშობლო XXI საუკუნეში. ალბათ, აყვავებული და ბედნიერი. იმაზე ძლიერი, ვიდრე თამარის დროს იყო. დაფასდება ადამიანის ცოდნა და ღვაწლი. არ იქნება ტყუილი და უსამართლობა. მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე და ბედნიერება.

ჩვენ, ქართველები, ძალიან მამაცები ვართ, ამიტომ საქართველო აყვავებული უნდა იყოს.

დაე, როგორც ილია იბრძოდა XIX საუკუნეში ერის კეთილდღეობისათვის, ისე ვიბრძოლოთ ჩვენ XXI საუკუნეში ქვეყნის აყვავებისათვის.

მარიამ ძებანიძე



ჩემი სამშობლო ოცდამეერთე საუკუნეში ძალიან ღარიბი და შესაბრალებელი ქვეყანაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში მომრავლებულია მათხოვრობა. დიდს თუ პატარას ყველას უჭირს და დახმარების იმედით ხელი აქვს გამოშვერილი. ჩვენს ქვეყანაში ისე თუ ასე მაინც არიან მდიდარი ადამიანები, მაგრამ ყველა არ არის ერთნაირი. ზოგი კეთილი და ხელგაშლილი, ზოგი კი ხელმომჭირნე ადამიანია, რაც ყველაზე ცუდია. ამ ყველაფერს თავი დავანებოთ და დავსვათ ასეთი კითხვა: ხალხი არ ეხმარება მათ, რადგან თვითონაც გასაჭირშია, მაგრამ მთავრობა რატომ არ ეხმარება მათ?

ახლანდელ დროში ჩვენი მთავრობა აღარ ფიქრობს ჩვენზე, რადგან მათ აინტერესებთ მხოლოდ საკუთარი თავი და სხვა არაფერი. აი ასეთ გასაჭირში ვცხოვრობთ ჩვენ დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში.

მარიამ ლუდუშაური

ჩემი სამშობლო საქართველოა. მე მიყვარს ჩემი სამშობლო მისი ბუნებით, ძეგლებითა და განსაკუთრებული კულტურით. დადგა XXI საუკუნე და დაიწყო ახალი ერა ჩვენი ქვეყნისათვის.

საქართველოს მდიდარი წარსული აქვს. არაერთხელ ყოფილა დაპყრობილი დამპყრობლების მიერ და ღირსეულად დაუღწევია თავი მონობისაგან.

დაიწყო ახალი საუკუნე, რომელსაც ჩვენ თავისუფლები შევხვდით და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს თავი-

სუფლება შევინარჩუნოთ, უფრო ავაყვავოთ და გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო.

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს ანვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მანვალებს".

ეთერ იგიტაშვილი

დასრულდა მეოცე საუკუნე, სავსე ათასნაირი გადატრიალებებით, მძიმე ომებით, აღმოჩენებით, ზეობით, სილამაზით. უაღრესად საინტერესო, ტკივილიანი სიხარულით განათებული. 70 წელიწადი ველოდით დამოუკიდებლობას, გვისმინა უფალმა.

დადგა XXI საუკუნე, რომელსაც დიდი იმედებით შევხვდით. ახალი საუკუნის დაწყებიდან ერთი წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა, მაგრამ იმედია, დარჩენილ 99 წელში ყველაფერი კარგად იქნება. ბედნიერი ყოფილიყოს ეს საუკუნე მსოფლიოსათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის. XXI-ე საუკუნის საქართველოში აღარ უნდა იყოს ომი, არ უნდა არსებობდეს ლტოლვილი, გაჭირვებული. ახალი საუკუნე ყოფილიყოს მეცნიერების, კულტურის, კიდევ უფრო მეტი აყვავების საუკუნე. იმედია, XXI საუკუნეში ჩვენს სამშობლოს გალაღებულს ვნახავთ.

ქეთევან კუპრაძე

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, რომელსაც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უწევდა ბრძოლები დამპყრობლების წინააღმდეგ. ჰქონდა შედარებით მშვიდი დღეებიც.

ათიოდე წლის წინ საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მიუხედავად დღევანდელი დუხჭირი ცხოვრებისა, საქართველოს მომავალი ნათელია.

მე მსურს, რომ უმოკლეს ხანში საქართველოში არ იყოს გაჭირვებული ხალხი, მათხოვრები, ყველა ადამიანი იყოს დასაქმებული და ვუსურვებდე ბევრ, ძალიან ბევრ მომღიმარ ადამიანს.

ანა ცქიფურიშვილი

ჩემი სამშობლო საქართველოა, მე მის დედაქალაქ თბილისში ვცხოვრობ.

ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა. ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ვცხოვრობთ.

დედამიწაზე არ არსებობს საქართველოზე ლამაზი და წარმტაცი ბუნება.

ჩემს სამშობლოს ახლა ეკონომიურად ძალიან უჭირს, მაგრამ ეს დროებითია.

XXI საუკუნეში საქართველო ფრთებს გაშლის, გაძლიერდება როგორც თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის დროს და ეს ჩვენ უნდა შევძლოთ!

მე ვისურვებდი XXI საუკუნეში ჩემი მიწა-წყალი იყოს ყველაზე ლამაზი, მდიდარი და ბედნიერი.

საქართველოსათვის მუდამ ანათებს მზე!

თ. ხელაია

მე ჩემი სამშობლო ძალიან მიყვარს. ჩემი სამშობლო საქართველოა.მას ჰქონდა მდიდარი წარსული. ჩემი აზრით იგი XXI-ე საუკუნეში უფრო ლამაზი უნდა იყოს. მე მინდა, რომ უფრო აყვავდეს და გალამაზდეს. მე ჩემი სამშობლო ძალიან მიყვარს.

„სამშობლოს ვერვინ წაგვართმევს,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მტერსაც კი გაეცინება."

დიანა ჭიღლაძე

აი, დასრულდა მღელვარე, შფოთიანი XX საუკუნე და შემოაბიჯა XXI საუკუნემ. XX საუკუნე ჩემი სამშობლოსათვის, საქართველოსათვის მწუხარების მომტანიც იყო და სიხარულისაც.

საქართველოსათვის XX საუკუნე მწუხარებით დაიწყო, 1907 წელს მოკლეს ქართველი ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილი მოუკვდა საქართველოს. 1915-ში კი აკაკი და ვაჟა გარდაიცვალნენ, მაგრამ მწუხარება მალე სიხარულმა შეცვალა, 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ კვლავ მწუხარების წლები განმეორდა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, სადაც საქართველომ მრავალი ვაჟკაცი დაკარგა. შემდეგ კი, უკვე XX საუკუნის დასასრულს იყო აფხაზეთის ომი, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა და რომელიც ჩემს თაობასაც მწარედ დაამახსოვრდა; მაგრამ მიუხედავად ყველაფერი ამისა, XX საუკუნემ საქართველოს ისტორიაში ბევრი ნათელი წერტილი დატოვა. XX საუკუნის ნათელი წერტილები იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, გალაკტიონი და კიდევ მრავალი სხვა თანამედროვე პოეტი თუ მწერალი, აგრეთვე ქართული ცეკვის ფუძემდებლები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. XX საუკუნემ მიუხედავად პოლიტიკური კრიზისისა, საქართველოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ხელოვნებისა და კულტურის დარგის მოღვაწე დაუტოვა.

სოფიკო ჩადუნელი

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქვეყანაა. იგი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანადაა მიჩნეული. ის მდიდარია თავისი ბუნებით, გამოირჩევა სტუმართმოყვარეობით. მან მრავალი ტანჯვა, აოხრება გამოიარა, მაგრამ თავისი მიმზიდველობა მაინც არ დაუკარგავს.

დღესაც ბევრს უჭირავს მასზე თვალი.

XXI საუკუნეში ჩემი სამშობლო მინდა იყოს დამოუკიდებელი, კიდევ უფრო მშვენიერი და განახლებული. მინდა, რომ ყველა ბედნიერად ცხოვრობდეს. ყველა ბავშვს ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა, ბედნიერი მომავალი და რაც მთავარია, საქართველოში იყოს ყველგან სიხარული, თავისუფლება და ბედნიერება.

ნიკოლოზ შევარდნაძე

მე ჩემი სამშობლო ძალიან მიყვარს. საქართველო ულამაზესია. საქართველოს აქვს ულამაზესი ქუჩები და ბაღები. საქართველოში არის ბევრი მწვანე ნარგავი და ისინი ამშვენებენ მას. საქართველოს ასევე ბევრი ნაკლი აქვს, მაგალითად: ხალხი ქუჩაში ყრის ნაგავს, ისინი ასევე წყალში ყრიან ნაგავს, აბინძურებენ ბუნებას. არის ისეთი ხალხიც, რომელიც ბუნებას უვლის.

ნინო ზარდალიშვილი

ჩემი სამშობლო საქართველოა. იგი ძალიან ლამაზია თავის ბუნებით. მას ამის გამო ბევრი მტერი ჰყავდა. იგი ხშირად აუწიოკებიათ. საქართველო თვრამეტი საუკუნე დაპყრობილი იყო. ჩემი სამშობლოსათვის ხშირად ხელი შეუშლიათ აღმავლობაში.

დღეს საქართველოს ძალიან უჭირს პენსიები და ხელფასები არ რიგდება, ბიუჯეტის არშევსების გამო. ბევრი მათხოვარი ჰყავს საქართველოს. მე ხშირად მიმიცია მათთვის ფული. დღეს უსახსრობის გამო მომუშავეები ხშირად იფიცებიან. საქართველოს ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც გვაქვს გაზი, დენი და წყალი. დღეს საქართველოს ძალიან უჭირს, მაგრამ იმედს ნუ დავკარგავთ, იგი ხომ ყველაზე ბოლოს ქრება ადამიანში.

თამარ ტუხაშვილი

21979
საქართველოს ეროვნული

## კითხვა - თქვენი

**გვიამბეთ; რატომ ყლაპავს ნიანგი ქვებს?**

*გეგა და ალეკო ნოზაძეები*

ნიანგები ტროპიკული და სუბტროპიკული მდინარეების, ტბებისა და ჭაობების ყველაზე საშიში ბინადრები არიან. დინოზავრების თანამედროვე ეს რეპტილიები დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს. ნილოსის ნიანგი სიგრძეში 7 მეტრს აღწევს. მოზრდილი ნილოსის ნიანგს კუჭში ყოველთვის აქვს 5 კილოგრამამდე ქვები, რომლებიც მას წყალში თავისი მდგომარეობის რეგულირებაში ეხმარება.



**მართალია თუ არა, რომ ძველად რომელიღაც მდინარე სიკვდილით დასაჯეს?**

*ლელა რომაშვილი, კასპი*

ორი ათასი წლის წინათ სპარსეთის მეფე კიროსის ბრძანებით მდინარე დიალა (ერაყი) სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ მისი გადალახვის დროს მეფის საყვარელი ცხენი დაიღუპა. კიროსმა მეომრებს 360 არხი გაათხრევინა, ამის შემდეგ მდინარე თითქმის ათასი წლით გაუჩინარდა ქვიშებში. მაგრამ დიალა მაინც გაცოცხლდა — უძველესი არხები ქვიშით აავსეს და მდინარეც თავის კალაპოტში დაბრუნდა.

* * *

**მე და ჩემი ამხანაგი შევკამათდით იმის თაობაზე, თუ როდის გაიმართა პირველი ოლიმპიური თამაშები. თუ შეიძლება, გვიპასუხეთ ამ კითხვაზე.**

*ზაზა დიდებაშვილი, რუსთავი*

მითი გვიამბობს, რომ ოლიმპიური თამაშები უხსოვარ დროში ქრონოსზე გამარჯვების აღსანიშნავად ზევსმა დააფუძნა. სხვა გადმოცემა თამაშების დამფუძნებლად ჰერაკლეს ასახელებს, რომელსაც ერთ-ერთი თავისი გამარჯვების აღსანიშნავად გაუმართავს შეჯიბრება სირბილში თავის ოთხ ძმას შორის და მანძილიც თავად დაუდგენია — 600 ტერფი (192,27 მეტრი). მიჩნეულია, რომ პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა 776 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ახალი ათვლით კი პირველი ოლიმპიური თამაშები 1896 წელს გაიმართა ათენში.

## პასუხი - ჩვენი

# „მშრომელი წარვლის და ნაშრომი ჰვიეს"

## ხუროთმოძღვარი საკოცარი



ჯავახეთში, ახალქალაქიდან 12 კილომეტრის მანძილზე დგას შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი დიდებული ძეგლთაგანი — კუმურდოს ტაძარი (X საუკუნე). სხვა მრავალი ქართული ეკლესია-ტაძრისაგან განსხვავებით, მას საკმაოდ ვრცელი სამშენებლო წარწერა ახლავს, რომლის წყალობითაც საცნაური გახდა, როგორც კუმურდოს მშენებლობის მოთავისა და ხარჯის გამღების, ისე მისი ხუროთმოძღვრის ვინაობა და აგების თარიღი. ტაძრის სამხრეთის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერა გვამცნობს: „იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაითა..."



საკოცარის ნაზრევ-ნახელავი ყოველთა ეს კეთილშობილი სიმკაცრით გამორჩეული, დახვეწილი გემოვნებითა და ნატიფი ოსტატობით ნაგები ტაძარი. ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მორთულობის მთლიანობა და სამშენებლო-ტექნიკური თვალსაზრისითაც (ქვის თლა, წყობა, პროფილების) საკოცარის ქმნილება ჭეშმარიტად სრულყოფილების ნიმუშია. კუმურდოს კედლების პერანგის ქვა მოვარდისფროა, აქა-იქ კი, უთუოდ თვალში მოსახვედრად, მუქ სისხლისფერ ლაქებად აქვს ჩადგმული ზოგან — ჯვარი, ზოგან — სარკმლის სათაური.

ტაძრის ყოველი თაღის მოხაზულობა, ქვის დამუშავება, კედლის წყობა თუ ჩუქურთმა ხუროთმოძღვრის დიდ ნიჭზე, უნაკლო გემოვნებასა და ოსტატობაზე მეტყველებს, ხოლო ნაგებობის მთლიანი მხატვრული გაზრება, კედლების ჰზიდული, ლაღი პროპორციები, თაღები და კამარები, კარნიზებისა და სარკმლების საპირეთა ნატიფი ჩუქურთმები განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, კრძალვისა და მოწიწების გრძნობას იწვევს მასში.

ტაძრის საერთო სახეში ჰარმონიულად არის ჩაწერილი გუმბათქვეშა თაღების დონეზე, ამ თაღებს შორის სამკუთხა არეებში მოთავსებული ლეონ მეფისა და მისი დის გურანდუხტის რელიეფური ქანდაკებები (ტაძარი ლეონ მეფის დროს არის აშენებული). ოთხი მახარობლის სიმბოლოების — ანგელოზის, ლომის, ხარის, არწივის რელიეფური ქანდაკებებით არის მორთული ასევე საკურთხევლის სარკმელიც. არაფერი ზედმეტი, არაფერი გრანდიოზული და გადაჭარბებული, მხოლოდ კეთილშობილება, სიმკაცრესთან შენივთებული დახვეწილობა და სინატიფე — აი ასეთია საკოცარის ქმნილება, რომელიც მას ძველი საქართველოს უდიდეს ხუროთმოძღვართა რიგში აყენებს.

ოდოშხერი

დები ხათუნა და თათია შენგელიები ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები არიან. ხათუნა უფროსია და მე-6 კლასში სწავლობს, უმცროსი, თათია მეხუთეკლასელია. გოგონებ. ხალისიან და ცნობისმოყვარე გოგონებს ბევრი რამ აინ[illegible] ორივეს ძალიან უყვარს სამშობლო და სჯერა, რომ ს[illegible] [illegible]რთველო ძლიერი და აყვავებული ქვეყანა გახდება. სამშობლოს უმღერიან ხათუნა და თათია საკუთარ ლექსებში.







## წინაპართა ქადილი

არ შეგვეშინდება
იმ ოსმალების,
არ შეგვეშინდება
იმ სპარსელების,
არ შეგვეშინდება ურიცხვი ჯარის,
გავუმკლავდებით ერთიან ძალით;
და წუთიერად ვიქცევით ლომად,
სულ მუსრს გავავლებთ სამშობლოს მტერს და
კვლავ დავიბრუნებთ ჩვენს მიწა-წყალსა!

***

დაღამდა... ბნელმა დალაშქრა
ჩვენი ეზო და კუნჭული,
ცა ლამაზია, კაშკაშა,
ავყურებ თვალმოჭუტული.
მთვარე ანათებს ვერცხლისფრად,
,,ნანას‘‘ უმღერის პატარას,
ისიც იღიმის ნებივრად,
ღიღინებს ლაღად, ლამაზად,
მთვარიან ღამეს რაღა სჯობს,
ფიქრს მივეცემი ანაზდად
იმედი წარსულს დარაჯობს
მომავალს ველი დარბაზად.

## გიორგი ბრწყინვალე

უდრეკელი საქართველო,
მზით ნაქარგი ელვარება,
ჩვენი ტურფა მთა და მდელო.
მონღოლთ რაში ენაღვლებათ.
აგვაოხრეს, დაგვარბიეს,
ჟამი გვედგა მონობისა,
მაგრამ ძალა მოვიკრიბეთ,
სისხლი ვღვარეთ მომხვდურისა.
ის დღეც დადგა ბედნიერი
ბრწყინვალებით გიორგისა,
გაძლიერდა ჩვენი ერი
მოთმინებით იობისა.
გვჯეროდა და ახლაც გვჯერა
ჩვენი ჯიშის ზეობა,
საქართველოს დიდება და
საქართველოს ერთობა.

## გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა,
დაიმორცხვა იამ,
ამ სიმწვანეს, სილამაზეს
გაზაფხული ჰქვია.
აჩუხჩუხდა ნაკადული,
დაიბურა ტყე
და გაზაფხულს ესალმება
ბულბულიც და მზეც.

ოდოშხერი

# ცხენის სვლა

ა) ნაბიჯი
ბ) ჩორთი
გ) თოხარიკი
დ) ოთხით, დაოთხებით ჭენება.










ელექტრონული ბიბლიოთეკა

## სიტყვის კონა

**ავშარი** – ულაგმო ალვირი.

**ალვირი** – ცხენის სამართავი, რომელიც თავზე ჩამოეცმევა ცხენს. აქვს გასაკრავი თასმები დასაჭერად.

**ლაგამი** – ალვირის ნაწილი, რომელსაც ცხენს ლაშებში ამოსდებენ.

**უზანგი** – ფეხის შესაყოფი რკინის რკალი, უნაგირის ნაწილი.

**აბჟანდი** – იგივე უზანგი.

**სადავე** – ლაგმის ხელჩასაჭიდი თასმა.

**ტახტა** – უნაგირის კეხის წინ და უკან ამოშვერილი ნაწილი.

**თოქალთო** – უნაგირის ქვეშ დასაფენი ქეჩა.

**ყაჯარი** – უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი.

**რახტი** – ალვირის ძვირფასი მორთულობა.

**სინიბი** – ფეხმაგარი, გამძლე ცხენი.

**ამლაკი** – ჭრელი ცხენი.

**ზერდაგი** – ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი.

**სალარი** – შუბლთეთრა ცხენი.

**ბედაური** – წვიმმაგარი, მალი ცხენი.

# სპორტი





## გამარჯვებაც არის, და გამარჯვებაც!

დიდებულად იასპარეზა 1991-1992 წელს დაბადებულთა თბილისის ჩემპიონატზე ფეხბურთში დედაქალაქის „ლოკომოტივმა", რომელმაც თვრამეტი თამაშიდან მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ, დანარჩენ ჩვიდმეტში კი გაიმარჯვა. ნორჩმა ლოკომოტიველებმა 52 ქულითა და ბურთების საუკეთესო შეფარდებით დაამთავრეს შეჯიბრება და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონობა. ამ შედეგებს გამოცდილი მწვრთნელის და შესანიშნავი აღმზრდელის ვახტანგ ჩოხიშვილის აღმზრდელებმა კარგი ფიზიკური მომზადებისა და გააზრებული კოლექტიური თამაშის შედეგად მიაღწიეს. თბილისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება ერთდროულად „ლოკომოტივის" ორმა თავდამსხმელმა მოიპოვა. ესენი არიან ლაშა სანოძე და მიშა კალიანდრა, რომლებმაც 23-23 გოლი გაიტანეს.

## ძიუდოისტებმა გვასახელეს

შესანიშნავად გამოვიდნენ ავსტრიის ქალაქ გრაცში გამართულ 1985-1986 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველი სპორტსმენები. ჩვენი ქვეყნის ოთხივე წარმომადგენელმა ოქროს მედლები მოიპოვა. ესენი არიან: თბილისელები გურამ გოგიძე და ტყუპები გიორგი და გივი დემეტრაშვილი, გორელი დურმიშხან ბერუაშვილი.

## ანა ტატიშვილის ტრიუმფი



ბრწყინვალე შედეგები აჩვენა ამ ზაფხულს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში 11 წლის ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა (თბილისის „დინამოს" საჩოგბურთო სკოლა, მწვრთნელი ვიქტორ ბაქში). ჯერ იყო და ანამ აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით ქალაქ ნიუ-იორკში გამართული 6 ტურნირიდან ორში მიიღო მონაწილეობა (12 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შორის) და ორივეში ყველას აჯობა, მეორე, 14 წლამდე ასაკის 4 ტურნირში ითამაშა და აქაც საუცხოო შედეგს მიაღწია — სამში ტურნირის გამარჯვებულის წოდება მოიპოვა, მეოთხეში კი მხოლოდ ფინალურ შეხვედრაში დამარცხდა. ამერიკას იტალია მოჰყვა, სადაც ნორჩმა ქართველმა ჩოგბურთელმა ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის მიერ გამართულ ბავშვთა ორ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ანამ საუცხოოდ ითამაშა, პირველი ტურნირის ფინალში, რომელიც ქალაქ კორეჯოში გაიმართა, იტალიის უძლიერეს ნორჩ ჩოგბურთელს კორინა დენტონის სძლია 6:4, 6:2, მეორე, პორტო სან-ჯორჯოში გამართულ ტურნირში კი მხოლოდ ფინალი დათმო.

## სპორტული ტანვარჯიშის მომავალი

ამ ზაფხულს გამართულმა საქართველოს მოსწავლეთა I თამაშებმა სპორტულ ტანვარჯიშში ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ნორჩ ტანმოვარჯიშეებს ნაკლებად შესაფერის პირობებში უხდებათ წვრთნა, მათ მაინც კარგი დონე აჩვენეს. უფროს ასაკობრივ ჯგუფში (1984-85 წწ.) თბილისელებმა შალვა დალაქიშვილმა (I ადგილი), რეზო აბულაძემ (II) და გიორგი ჭიღლაძემ (III) ისახელეს თავი; 1986-87 წლებში დაბადებულთა შორის საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ ასევე თბილისელებს ვასილ საბანაძეს (I) და ბესო ბერიანიძეს (II). მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში (1988-89 წწ.) პირველი ადგილი თბილისელმა პაატა ნოზაძემ დაიკავა (მას ქართული სპორტული ტანვარჯიშის „ამომავალ ვარსკვლავს" უწოდებენ), მეორე — ქუთაისელმა ნოდარ ლიონიძემ, მესამე ადგილზე კი დედაქალაქელი ზურაბ ანდრიაძე გავიდა; უმცროსებში (1990-92 წწ.) ყველას თბილისელმა რეზო დოლიძემ აჯობა, მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად ქუთაისელმა მიხეილ ხარაბაძემ და გიორგი კვასტიანმა მოიპოვეს.

რაც შეეხება გოგონებს, აქ 1984-85 წლებში დაბადებულთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ნინო დოდაშვილი. 2. სოფიო გაბაძე. 3. თამარ მოსიძე (სამივე თბილისი). 1987-88 წლები: 1. სოფიო კაკაშვილი (ბათუმი); 2. ირინა პაშკოვა, 3. თამარ შალამბერიძე (ორივე თბილისი); 1989-90 წლები: 1. თეონა ძნელაძე, 2. სოფიო ბოდაველი (ორივე თბილისი); 3. ნინო სულაკიძე (ქუთაისი); 1991-93 წლები: 1. ქრისტინე შვენთიძე (ბათუმი); 2. მერი თუთბერიძე, 3. თამარ სულუხია (ორივე ქუთაისი).

გუნდურ ჩათვლაში თამაშების გამარჯვებულის წოდება გ. ეგნატაშვილის სახელობის სპორტსკოლით წარმოდგენილმა თბილისის გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილი ქუთაისელ, მესამე კი ბათუმელ ტანმოვარჯიშეებს ერგო.



ელექტრონული ბიბლიოთეკა





მტკნარი წყლების ყველაზე დიდი ძუძუმწოვრები — ლამანტინები ტროპიკულ მდინარეთა შესართავებში ბინადრობენ. ლამანტინების სიგრძე ოთხ მეტრს აღწევს, წონა კი — 400 კილოგრამს! ლამანტინები ხორთუმიანებისგან წარმოიშვნენ. ფარფლ-თათებზე მათ ბრტყელი ფრჩხილისებრი ჩლიქები შემორჩათ, რაც ამ ძუძუმწოვრების სპილოებთან ნათესაობას შეგვახსენებს.

ამ უზარმაზარ ცხოველს ერთი ბეწო, მის მასაზე 1000-ჯერ პატარა გული აქვს. ასეთი შეფარდება ადამიანს რომ ჰქონოდა, 330 გ. მასის გულის პატრონი თანამედროვე მამაკაცის წონა 330 კილოგრამის ტოლი იქნებოდა.

# დი სნაიდერი: პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

## შენ და სკოლა

ცხოვრებაში რამდენიმე გარკვეული სტაბილური რამ არსებობს. ესენია: მთავრობა, გადასახადები, მშობლები, მოზარდები და სკოლა. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდები ბევრს ბუზღუნებენ, არა მგონია, რომელიმე მათგანი სერიოზულად ფიქრობდეს განათლების სისტემის ლიკვიდაციაზე.

რას იზამ, ადამიანებს სჩვევიათ წუწუნი და ბუზღუნი, ასე ისინი უკეთესად გრძნობენ თავს. დღეს პარასკევია — ვაშა! ორშაბათია — დალახვროს ეშმაკმა! სწავლის პირველი დღეა — რა საშინელებაა! სწავლის ბოლო დღეა — ვაშა! მე როგორღა ვიქცეოდი? მეც სხვებთან ერთად ვბუზღუნებდი.

ზარი სკოლის სიმბოლოა და მისი ხმა სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში (ალბათ, სკოლის ზარზე ჩვენი რეაქცია შეიძლება შევადაროთ ბოროტმოქმედის რეაქციას პოლიციის მანქანის სირენაზე). ახლა რამდენი კოშმარული შთაბეჭდილებაა! ყოველ 45 წუთში გარემო იცვლება, მოსწავლეები გადარეულებივით დარბიან დერეფნებში და ბოლოს და ბოლოს, მორიგ კაბინეტში იკავებენ ადგილებს. ინგლისურის გაკვეთილზე თითქოს საგნისადმი რაღაც ინტერესს იჩენ (ისე, მრავალფეროვნებისთვის), სამაგიეროდ უკანა მერხებზე შენი მეგობრები არხეინად ხვრინავენ. შემდეგი ბიოლოგიაა. ეშმაკმა წაიღოს! შენ სისხლის დანახვასაც კი ვერ იტან, არადა, დღეს სწორედ შენ უნდა ჩაუტარო საცდელ ბაყაყს ოპერაცია...

ზოგჯერ შენი საქციელი გაკვეთილზე ემსგავსება ქვეითი მებრძოლის ქცევას მტრის შეტევის დროს, ბუნებრივია, მტერი აქ მასწავლებელია. დავიწყოთ გეომეტრიით. პრინციპში შენ იცი, რაზეა ლაპარაკი, პითაგორას თეორემის შესახებ კი რატომღაც პირველად გესმის, მაშ ყოჩაღად უნდა იყო! ამიტომაც გიწევს სანგარში ჯდომა, თითი თითზე გაქვს გადაჯვარედინებული და ღმერთს ევედრები ამ სადისტის მზერა აგარიდოს. ჰო, როგორ არა! „აბა, ვნახოთ, ვინ გვიამბობს პითაგორას თეორემას? ვთქვათ, ეეე...".

შენ რაღაცას ბლუყუნებ, მშვენივრად გესმის, რომ ამჯერად ჩავარდი. ეს მტარვალი კი ბოროტად იღიმება: „აბა, ერთი, ჩემო კარგო, დაფასთან გამობრძანდი!" ღმერთო, შენ მიშველე! უკვე გესმის თანაკლასელების ხითხითი, მასწავლებელი კი ახალ კითხვებს გაყრის (მას სულ ადვილად შეეძლო ჩინურად ელაპარაკა). წამება მთავრდება, მასწავლებლები შენს ადგილზე დაბრუნების ნებას გრთავს, — ო, რა უბედური ხარ ამ დროს, თავი ქონდრის კაცი გგონია: თავი კისერში გაქვს ჩამძვრალი, ტანი აღარ გაქვს, მარტო ფეხსაცმელები მოგიჩანს, ფეხსაცმელებში კი ნაკვერცხალი გიყრია. საოცარია, როგორ შეუძლია ერთ წარუმატებელ გაკვეთილს მთელ დღე მოგიწამლოს! ერთი სული გაქვს გაკვეთილები დამთავრდეს, რომ სახლში მოუსვა და ფინჯან ხსნად ყავაში ჩაახრჩო, ჩაკლა დარდი.

თითქოს ეს არ კმაროდეს, ყველა ირგვლივ მყოფი, ძირითადად, მშობლები, ითხოვენ, რომ შენ ამ მხეცურ სპექტაკლში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამასთან ზოგი მშობელი ისე იქცევა, თითქოს ცუდად სწავლას დედობრივი ან მამობრივი სიყვარულის მოკვლა შეეძლოს. მშობლებო! რა იქნება, რომ უბრალოდ წარმოიდგინოთ, როგორ განიცდიან თქვენი შვილები, როგორ ეშინიათ მათ ამისი. ყოველთვის, როცა ჩემი ნიშნები იდეალს შორდებოდა — ხოლო ისინი მას არც არასდროს მიახლოებია, — წინაპრები გარკვეული პრივილეგიების ჩამორთმევით მემუქრებოდნენ, როგორც წესი, მათი წარმოსახვა სკოლის მუსიკალურ ჯგუფში როკ-ენ-როლის დაკვრის აკრძალვის იქით არ მიდიოდა. გულწრფელად ვიტყვი — ყველაფერი, რაც კი მიყვარდა, ჩემი შესანიშნავი ნიშნებით იყო ჩაშხამებული.



რამდენად მნიშვნელოვანია ნიშნები და რამდენად ზუსტად ასახავს ისინი შენს გონებრივ შესაძლებლობებს? ფრიადოსნებისა და კარგოსნების დიდი უმრავლესობა ზეპირობის ოსტატებია, ისინი შესანიშნავად იმახსოვრებენ, ხოლო არსი არ ესმით. ეს კი სწავლა არ არის. სწავლა პრობლემის ან იდეის გამოკვლევას ნიშნავს — ეს არის ფაქტები, მათი ინტერპრეტაცია, იმ სამყაროსთან მისადაგება, რომელშიც ვცხოვრობთ. ხოლო რადგანაც ჩვენ ვაკუუმში არ ვცხოვრობთ, ვერც ერთი ჩვენგანი ამ ვაკუუმში ვერ ისწავლის.

ჩემი დაწყებითი განათლება ფრიპორტის რაიონში დაიწყო. ისე რომ არანაირი ძალისხმევა არ დამჭირვებია, უმალ ფრიადოსანი გავხდი, მერე მშობლები ბოლდუინის რაიონში გა-

დასახლდნენ, აქაური სკოლები მაღალი მოთხოვნებით იყო განთქმული და მე მოულოდნელად ფრიადოსნიდან უბადრუკ სამოსნად გადავიქეცი. და ეს მაშინ, როცა ჩემი ძმაკაცი დონი, რომელიც ჩვენს ყოფილ სკოლაში ყველაზე ცუდი მოსწავლე იყო, ფრიადოსანი არ გახდა! უფრო მეტიც, გაკვეთილებზე დონი არაფერს იწერდა ხოლმე. საკუთარი წარუმატებლობით ნირწამხდარმა ერთხელაც ავდექი და ვკითხე, როგორ ახერხებ წარჩინებით სწავლას-მეთქი?

იცით, რა მიპასუხა? მე გაკვეთილებზე დროს არ ვკარგავ, უბრალოდ, გულდასმით ვუსმენო. სხვები ამ დროს გამალებით იწერენ, ის კი არ ესმით, რას იწერენ. მათ ერთადერთი მიზანი აქვთ, რაც შეიძლება სწრაფად გადაიტანონ ქაღალდზე ის, რასაც მასწავლებელი წარმოთქვამს, ამიტომაც აზრი ყურებიდან ტვინის გვერდის ავლით პირდაპირ ხვდება ქაღალდზე. სინამდვილეში არავის არაფერი ეყურება. მთავარს ვერც იგებენ და ვერც გამოყოფენ. ამიტომაც როცა თავის ჩანაწერებში იხედებიან, უცხო ენაზე დაწერილ ტექსტებად ეჩვენებათო.

დონი მაგარი ბიჭი იყო, არასდროს ზეპირობდა და მისი მეთოდი ჩემთვისაც მისაღებად მივიჩნიე. გადავწყვიტე თვითონაც მეცადა. მალე სკოლა კატორღად აღარ მეჩვენებოდა, ნიშნებიც გამოვასწორე: საშუალო სკოლა ნაღდ „კარგოსნად“ დავამთავრე. მასწავლებლის სიტყვებს რვეულში ბრმად აღარ ვაფიქსირებდი, კიდეც ვეკამათებოდი მას, ის კი არა, ზოგჯერ მის ნათქვამსაც ეჭვქვეშ ვაყენებდი.

კარგი მასწავლებლები არა მარტო პასუხობენ შენს კითხვებს, არამედ მიესალმებიან მათ, რადგანაც მშვენივრად ესმით, რომ მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეებს ფიქრი ასწავლოს.

ფაქტების გააზრება უნდა შეგეძლოს, და შენი აზრი, ვთქვათ, ავღანეთში წარმოებულ ომზე, შეიძლება განსხვავდებოდეს მასწავლებლის თვალსაზრისისაგან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთ-ერთი თქვენგანი სრული ასი პროცენტით მართალია, ნუ მისცემ მასწავლებელს შენი დაშინების ნებას, უფრო სწორედ, ეცადე, თავად არ გეშინოდეს მისი და გაბედულად იკამათე, გამოთქვი საკუთარი მოსაზრება.

თუ რაიმე არ გესმის, თუ რაღაც გაუგებარია შენთვის, იკითხე! მხოლოდ ასე შეიძლება რაღაც ისწავლო.

ხანდახან ამჩნევ, რომ ბევრი შენი თანაკლასელი გაკვეთილზე თითქოს ნაზ ნირვანაში იმყოფებოდეს: აღარ ესმით, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ იმის შიშით, რომ სასაცილო



მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, კითხვის დასმისა ეშინიათ. თუ შენც ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდი, გაკვეთილის შემდეგ დაელაპარაკე მასწავლებელს, ან თუ საგანთან დაკავშირებით პრობლემა გაგიჩნდა, სთხოვე მას ფაკულტატიურად დაგეხმაროს. თუ თემის მთავარი პრინციპები და დებულებები გაუგებარია შენთვის, იცოდე, რომ რაც მეტხანს დააყოვნებ, საგნის ათვისების მით ნაკლები შანსი გექნება, მერე და მერე კი საერთოდ ველარ მიხვდები, თუ რა ხდება კლასში.

## უმაქნისი ინფორმაცია

რამდენჯერ მომხდარა ასე: მიხვალ კლასში, გადაფურცლავ ჩანაწერებს და ფიქრობ: „ნეტავ, რა სისულელეებით ვიტენი თავს! სკოლის მერე მანეკენების კურსებზე უნდა ვიარო (ფეხბურთელი უნდა გავხდე) და ედგარ პოს პოემების დაზეპირება რაღა ჯანდაბად მინდა?! რა, ლეოპარდის მანტოთი პოდიუმზე რომ გავივლი, პოს „ყორანის“ ციტატებს წავიკითხავ თუ?..“

სრული სიმართლეა, იმ ცოდნის ნაწილი, რომელსაც სკოლაში ვღებულობთ, უშუალოდ ცხოვრებაში არასდროს გამოგვადგება. მაგრამ სრულიად უსარგებლო ცოდნა არ არსებობს. იმ საგნებსაც კი, რომლებიც შენი აზრით, არასდროს გამოგადგება, შეუძლია გარკვეული სახის ანალიზისა და საუბრისთვის შეგამზადოს, ეს კი ის ხელოვნებაა, რომლითაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვსარგებლობთ.

და ნუ დაგავიწყდება, რომ შეიძლება შენი საქმიანობა სრულიად მოულოდნელად შეიცვალოს და საგანი, რომელიც სკოლაში ცხარე ცრემლებით გატირებდა, შენს მთავარ საქმედ იქცეს. თუმცა არც ისე ხშირად, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე.

ჩემი აზრით, შენი სასკოლო ცხოვრების გახალისების ერთ-ერთი საშუალებაა სკოლისგარეშე ღონისძიებებში მონაწილეობა. ითხოვე როლი სასკოლო სპექტაკლში, ჩაეწერე სპორტულ სექციაში, ჩამოაყალიბე რაიმე კლუბი.

მშვენივრად მესმის, რომ ასეთი რამ მშობლებსაც არა ერთხელ ურჩევიათ და შენ ყოველთვის იღრიჯებოდი: მომბეზრდაო. მაგრამ მერწმუნე, შენზე ნაკლები ხეკაკუნა არც მე ვყოფილვარ!

პირადად მე ბევრი თავისუფალი დრო არა მქონია, იმიტომ, რომ გაკვეთილების შემდეგ ვმუშაობდი ხოლმე, ამიტომაც მარტო გუნდში ვმღეროდი. უკან რომ ვიხედები, ვნანობ ხოლმე (გუნდში რომ ვმღეროდი იმას კი არა, სასკოლო წარმოდგენებში რომ არ ვმონაწილეობდი, შეჯიბრებებზე რომ არ გამოვდიოდი და ა. შ.). სამწუხაროდ, ყველაზე საინტერესო რაღაცები ყოველთვის უჩემოდ ხდებოდა.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოზარდებს, რომლებიც ზეპირობის გარდა, სხვა არაფრით არიან დაკავებულები, შემდგომში, ასე ვთქვათ, „გადაწვა“ ემუქრებათ: ისინი ფიზიკურად და გონებრივად იღლებიან, კარგავენ ცხოვრებისადმი ინტერესს. მაშასადამე, კეთილსაიმედო ფრიადოსანი-მოზეპირეები, რომლებიც მხოლოდ მერხებსა და საწერ მაგიდას შორის მოძრაობენ, მიზანმიმართულად მიაბიჯებენ გამოფიტვისკენ.

სრულიად უსარგებლო ცოდნა არ არსებობს.

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## გერმანია



ძალადობის სცენებით გაჯერებული „კომპიუტერული თამაშები“ საშიშია ბავშვის ფსიქიკისათვის და აგრესიულებს ხდის მათ — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები 8-დან 14 წლამდე ასაკის 280 ბავშვისა და მოზარდის მდგომარეობის შესწავლის შედეგად.

მათ დაადგინეს, რომ „აგრესიული“ კომპიუტერული თამაშები იწვევს თავისებურ „ემოციურ სიყრუეს“, რომელიც ბავშვებს თანაგრძნობის უნარს უქვეითებს.

## ინდოეთი




„ნარკოტიკები სიკვდილივით საშინელია“ — ასე გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ნარკოტიკებისადმი ინდოეთის ქალაქ კალკუტის მოსწავლეებმა, რომლებიც მრავლად მონაწილეობდნენ ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამართულ აქციაში.

## აფრიკა



საერთაშორისო ორგანიზაციამ „ქრისტიანული დახმარება“ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც მოყვანილია შემზარავი სტატისტიკა — შიდსის ეპიდემიის შედეგად აფრიკაში 12 მილიონზე მეტი ბავშვი დაობლდა. ორგანიზაცია მოუწოდებს მსოფლიოს საზოგადოებრიობას გადამჭრელი ზომები მიიღოს ამ ბავშვების დასახმარებლად და შიდსთან საბრძოლველად.

## ბელგია




ბელგიის ლუდის მოყვარულთა საზოგადოებამ ლიმბურგის პროვინციის 30 სკოლებში გაგზავნა წერილი, რომელშიც სკოლის ხელმძღვანელობას სასკოლო ბუფეტების მენიუში დაბალი ალკოჰოლური შემცველობის ლუდის შეტანა შესთავაზა. ერთ-ერთ სკოლაში ამ სიახლეს გამოეხმაურნენ და ტკბილი გაზიანი სასმელები ლუდით შეცვალეს. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ სიამოვნებით დალია სადილზე ერთი ჭიქა ლუდი და ამას დათრობის მსგავსი არაფერი მოჰყოლია. ლუდის მოყვარულთა აზრით, ლუდი გაცილებით სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ვიდრე შაქრიანი წვენები და გაზიანი სასმელები, რომლებიც გასუქებას უწყობს ხელს.

## დიდი ბრიტანეთი

1 აგვისტოდან ძალაში შევიდა კანონი 15 წლამდე ბავშვებისათვის კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ასეთი პრაქტიკა შოტლანდიაში მოსინჯეს და ამან კარგი შედეგი გამოიღო — 6 თვეში მოზარდთა დანაშაული 40 პროცენტით შემცირდა

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

1829 წლის 16 ოქტომბრის მზიან დილით შხუნამ „მერმეიდი“ სიდნეის ყურე დატოვა და ავსტრალიის დასავლეთ ნაპირებისკენ, კოლიეს სრუტისკენ აიღო გეზი. შხუნაზე კაპიტნის, სამუელ ნოლბროუს გარდა 18 მეზღვაური და 3 მგზავრი იმყოფებოდა.

სამი დღე-ღამე ზურგის ქარი უბერავდა. მეოთხე დღეს კი ცა ტყვიისფერმა ღრუბლებმა დაამძიმა. აღელდა, აბობოქრდა ოკეანე, უზარმაზარი ტალღები ასკდებოდა იალქნიანი შხუნის ცხვირს, მესაჭე იძულებული გახდა ანძაზე მიებმევინებინა თავი. შხუნა მეჩეჩებით სავსე ტორესის სრუტეში იმყოფებოდა. კაპიტანი სხვებზე ადრე მიხვდა, რას უქადდა გამძვინვარებული სტიქია „მერმეიდს“. მისი ბრძანებით ყველამ გემბანზე მოიყარა თავი და სწორედაც რომ დროზე: ტალღამ შხუნა აიტაცა და ზედ მეჩეჩს მიაგდო. გემი ნაწილებად დაიშალა, როგორც მწიფე საზამთრო დანის ქვეშ.



22 ადამიანი ოკეანეში აღმოჩნდა. მათ გადარჩენის ერთადერთი შანსი ჰქონდთ — კლდე, რომელიც გემის დაღუპვის ადგილიდან 100 მეტრის მანძილზე ამოშვერილიყო წყლიდან. და აი, როცა პირქუში დილა გათენდა, ციცქნა კუნძულზე 22 მთლად სველი, მაგრამ ცოცხალი ადამიანი იჯდა. სამი დღე-ღამე გაატარეს გაყინულებმა, მშივრებმა და გაწამებულებმა იმ სალ კლდეზე, მეოთხე დღეს კი ისინი სრუტეში შემთხვევით მოხვედრილ ბარკ „სვიფტშუედან“ შენიშნეს. 22 ადამიანი ღმერთს მადლს სწირავდა და ერთმანეთს გადარჩენას ულოცავდა, ის კი არც ერთმა არ იცოდა, რომ მათი ავბედითი თავგადასავალი ის-ის იყო იწყებოდა...

ხუთი დღე ყველაფერი დიდებულად მიდიოდა. ბარკი მშვიდად უახლოვდებოდა ახალი გვინეის ნაპირებს. სწორედ აქ ელოდა „სვიფტშუეს“ ფათერაკი. გემი მძლავრმა დინებამ გაიტაცა და უკაცრიელი ნაპირის ლოდებს მიახეთქა. ეკიპაჟმა, მგზავრებმა, მათ შორის „მერმეიდის“ მთელმა შემადგენლობამ, სასწრაფოდ დატოვა გემი. არც ამჯერად დაზიანებულა ვინმე.

რვა საათის შემდეგ ზღვაოსნები შხუნა „გოვერნერ რედმა“ იხსნა და მის 32 კაციან ეკიპაჟს „მერმეიდისა“ და „სვიფტშუეს“ ხალხიც შეემატა. „გოვერნერ რედზე“ იალქნები აღმართეს და... სამი საათის შემდეგ შხუნაზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი ელვის უსწრაფესად მოედო ფიცრებით დატვირთულ გემს. ადამიანები მსუბუქ შლუპებს მიაწყდნენ. ირგვლივ ასეულობით მილის მანძილზე ოკეანე ფშვინავდა. მაგრამ ეტყობა „მერმეიდელმა“ ქუდბედიანებმა სხვებსაც გადასდეს საკუთარი იღბლიანობა და მალე ყველანი ავსტრალიულმა სამხედრო იალქნიანმა გემმა „კომეტამ“ გადაარჩინა. ოკეანეს არც ამჯერად უმსხვერპლია ვინმე. თუმცა მორიგი ფათერაკები ამით არ დამთავრებულა. ერთი კვირა იცურა „კომეტამ“ მშვიდად, მერე კი ანაზდად მოვარდნილმა შტორმმა იალქნებიც შემოაგლიჯა და ანძაც დაუმსხვრია. ავსტრალიელმა ზღვაოსნებმა ყველაფერი მათ მიერ გადარჩენილ „უიღბლოებს“ დააბრალეს და რა შეატყვეს, რომ მდგომარეობა უარესდებოდა, ბარკასში გადასხდნენ, დასაღუპად განწირული „კომეტა“ და დაუპატიჟებელი მგზავრები კი აბობოქრებულ სტიქიას შეატოვეს.

არავინ იცის, რა ბედი ეწია „კომეტას“ ეკიპაჟს, რაც შეეხება მრავალ ტანჯვაგამოვლილ „უიღბლოებს“, რომლებმაც გემის ნარჩენებს ჩაბღაუჭებულებმა 18 საათი გაატარეს ოკეანეში, მათ ამჯერადაც (უკვე მერამდენედ?!) გაუმართლა — ისინი საფოსტო გემმა „იუპიტერმა“ აიყვანა ბორტზე. როდესაც სამი დაღუპული გემის კაპიტნებმა გადაძახილი მოაწყვეს, აღმოჩნდა, რომ ყველა სახეზე იყო, არავინ დაღუპულიყო!

ეს არაჩვეულებრივი ამბავი კიდევ ერთი ბედნიერი სიურპრიზით დაგვირგვინდა. „იუპიტერის“ მგზავრი — ხნიერი იორკშირელი ქალბატონი სარა რიჩი ავსტრალიაში ვაჟიშვილის საძებნელად მიემგზავრებოდა, რომელიც 15 წელი არ ენახა და მოხუცმა ლედიმ გადარჩენილთა შორის აღმოაჩინა იგი. თურმე სარა რიჩის შვილი „მერმეიდზე“ მატროსად მუშაობდა.

შეიძლება ეს უჩვეულო თავგადასავალი დაუჯერებლადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერი, ამ ამბის უმცირესი დეტალებიც კი დასტურდება დოკუმენტებით, რომლებიც დაცულია მსოფლიოში ცნობილი ინგლისის საზღვაო სადაზღვევო კომპანიის ლოიდის არქივებში.

# ინტერნეტომანია [illegible]



როცა ვერ გაგვიგია, რამ განაპი-რობა დამნაშავეობის ზრდა ან რა-ტომ იგებენ ჩვენი შვილები დროზე ადრე იმის შესახებ, რაც მათ ასა-კში არ უნდა იცოდნენ, მიზეზი ინტერნეტში უნდა ვეძიოთ. სხვა-დასხვა ქვეყნის ფსიქიკური ჯა-ნმრთელობის დარგის მეცნიერ-მკვლევართა საერთო აზრით, ყვე-ლაზე დიდ საშიშროებას ინტერნეტი მოზარდებისთვის წარმოადგენს. უფროსები ასე თუ ისე მაინც გრძნობენ, როდის უნდა გაჩერდნენ, ბავშვებს კი ასეთი მუხრუჭები სა-ერთოდ არ გააჩნიათ. მდგომარე-ობას ისიც ამძაფრებს, რომ მოზა-რდებისთვის, ახალგაზრდებისთვის ინტერნეტი იქცა თავისებურ მო-დურ სათამაშოდ, რომლის ქონაც პრესტიჟულია. ახალგაზრდები მთელი დღეები უქმად „ფურცლა-ვენ“ ვებ-გვერდებს, ინფორმაციის ტრადიციულ წყაროებს კი საერთოდ უგულებელყოფენ. „ინტერნეტომა-ნები“ აცხადებენ, რომ უინტერნე-ტოდ ცხოვრება ველარ წარმოუდგე-ნიათ და რომ საუკეთესო მეგო-ბრები სწორედ ვირტუალურ სი-ვრცეში შეიძინეს. ასეთებს კომპი-უტერი ადამიანური ურთიერთობის, ვირტუალური სამყარო კი არსე-ბული რეალობის მაგივრობას უწევს. იმაზე კი არავინ ფიქრობს, რომ მკურნალობა მაინც ნამდვილ, რე-ალურ ექიმებთან მოუწევთ.

ინტერნეტი კი არ შემოვიდა, არამედ 90-იან წლებში პირდაპირ შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. მის მიერ შეთავაზებული შესაძლებლო-ბებით მოჯადოებული კაცობრიობა მაშინვე უბრძოლველად დანებდა ელექტრონულ დაპყრობს. ინტე-რნეტით შეგიძლიათ ნაცნობობა გა-აბათ, რაღაც იყიდოთ ან გაყიდოთ, შეიტყოთ მსოფლიოს უკანასკნელი ახალი ამბები და ჭორები, მიიღოთ სხვადასხვა სახის კონსულტაციები და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

მაგრამ ადამიანს სამეცნიერო-ტე-ქნიკური პროგრესის ყველა სიკეთე საკმაოდ ძვირი უჯდება. ასეა კო-მპიუტერიც, ინტერნეტიც. მალე ცი-ვილიზაციის იმ დაავადებათა ნუ-სხას, რომლებსაც უმოძრაობა, მო-დუნებულობა, გაღიზიანებულობა იწვევს, ახალმოდური „ინტერნეტო-მანიაც“ შეემატება. ადვილი შესა-ძლებელია სულ მალე პერსონალური კომპიუტერის ეკრანზე გლობალურ კომპიუტერულ ქსელში შესვლამდე გაჩნდეს გამაფრთხილებელი წა-რწერა: „ინტერნეტი დიდი რაოდე-ნობით მავნებელია თქვენი ჯანმრთე-ლობისთვის“. ჯერჯერობით ასეთი წარწერა არ ჩანს, სამაგიეროდ, უკვე მოიკიდა ფეხი ტერმინმა „პათოლო-გიური სარგებლობა ინტერნეტით“. ეს უწინარეს ყოვლისა, იმათზე ითქმის, ვისაც უბრალო ცოდნი-სმოყვარეობა კი არ ამოძრავებს, არამედ მანიაკალურობამდე მისული გატაცება. გლობალური კომპი-უტერული ქსელით მოსარგებლეთა 6 პროცენტისთვის ანუ 11 მილი-ონი ადამიანისთვის იგი ნარკოტი-კის თავისებურ ნაირსახეობად იქცა. ელექტრონული ურჩხულის რბილ თათებში მოქცეულ ადამიანს ის შე-გრძნებები იზიდავს, რომლებიც კი-ბერსამყაროს უკიდეგანო სივრცე-ებში მოგზაურობის დროს უჩნდება. ინტერნეტით მეტისმეტ გატაცებას ნერვული გადაღლა და მუდმივი ინფორმაციული სტრესი მოსდევს ხოლმე. ამ საკითხებთან დაკავშირე-ბით მედიკოსებს ყველაზე მეტად ის აშფოთებთ, რომ ეს საშიშროება მო-სწავლე ახალგაზრდობას შორისაც ძალზე ხშირია. შეშფოთების საფუ-ძველი კი ნამდვილად არსებობს —



# ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ბაგრატიონთა დინასტიის პირველი ქართველი მეფე იყო...

ა) ფარნავაზი

ბ) გუარამი

გ) გიორგი III.

2. ერეკლე II-ის მესამე მეუღლე, გიორგი დადიანის ასული, დარეჯან დედოფალი განისვენებს...

ა) მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ქმრის გვერდით

ბ) მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში

გ) პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში.

3. „მოველ, ვიხილე, გავიმარჯვე“ (Veni, vidi, vici) – ამ სიტყვებით შეატყობინა რომში თავის მეგობარს პონტოს მეფეზე ელვისებრი გამარჯვების შესახებ იმპერატორმა...

ა) იულიუს კეისარმა

ბ) ნერონმა

გ) ავგუსტუსმა.

4. ცნობილი რომანის „სამი მუშკეტერის“ ავტორია ფრანგი მწერალი:

ა) ვიქტორ ჰიუგო

ბ) ალექსანდრე დიუმა-მამა

გ) ალექსანდრე დიუმა-შვილი.

5. აფრიკის დასავლეთში მდებარე ეს სახელმწიფო არის...

ა) კოტ დივუარი

ბ) ტოგო

გ) ლიბერია.

3



4



5




**ვიქტორინის წინა ტურის სწორი პასუხები:**

1. კოტე ფოცხვერაშვილი. 2. მანდილი. 3. ლავა. 4. ეკატერინე. 5. ტრაპიზონში.

# სიცილის გაკვეთილი

— დღეს მე დაგისვამთ ორ შეკითხვას, — მიმართა ბავშვებს მასწავლებელმა. — ვინც პირველი უპასუხებს, მას მეორე შეკითხვას აღარ მივცემ.

პირველი შეკითხვა ასეთია: რამდენი თმა აქვს ადამიანს თავზე:

კურტმა ხელი აიწია და თქვა:

— ადამიანს თავზე აქვს მილიონ ორი ათასი თმა:

მასწავლებელი: ჰმ! საკვირველია, საიდან იცი?

კურტი: ბატონო მასწავლებელო, ეს უკვე მეორე შეკითხვაა.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: — რას გვაძლევს ჩვენ ცხვარი?

პეტერი დუმს.

მასწავლებელი: — მაშ მითხარი, ყმაწვილო, რისგან არის დამზადებული შენი ქურთუკი?

პეტერი: მამაჩემის პალტოსაგან!

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: ფრანც, რა არის კაციჭამია?

ფრანცი: არ ვიცი.

მასწავლებელი: ვთქვათ, შეჭამე მამაშენი და დედაშენი, რა იქნები მაშინ?

ფრანცი: ობოლი, ბატონო მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

— დედა, იცი? მასწავლებელმა შემაქო დღეს, — უთხრა ჩარლიმ დედას...

— რა გითხრა?

— ჩემთვის არაფერი უთქვამს, სხვას უთხრა: შენ კლასში ყველაზე ცუდი ბიჭი ხარ, ჩარლიც კი გჯობნისო.



☺ ☺ ☺

— ბავშვებო, რა არის უსასრულობა?

— სამყარო და სასწავლო წელი, პატივცემულო მასწავლებელო, — იყო ერთ-ერთი მოწაფის პასუხი.

☺ ☺ ☺

გაიღვიძა თუ არა დილით ჟაკმა, თავის ტკივილი აჰყვა და დედას შესჩივლა:

— დედიკო, თავი მტკივა.

— რატომ, გენაცვალე, ცუდად გეძინა?

— არა, დამესიზმრა, გაკვეთილებს ვსწავლობდი.

☺ ☺ ☺

ერთ ზარმაცს ჰკითხეს:

— დამჯდარი რატომ აპობ შეშას?

— მაშ რა ვქნა, დაწოლილმა ვერ მოვახერხე.

☺ ☺ ☺

პატარა ბიჭუნა ბებიასთან ერთად პალეონტოლოგიურ მუზეუმში უძველესი, გადაშენებული ცხოველების ფიტულებს ათვალიერებდა.

— წარმოდგენილი მაქვს, ბებო, პატარაობისას ამ ურჩხულებისა როგორ გეშინოდა.

☺ ☺ ☺

— მამა, მართალია, რომ ჩვენ სხვებს უნდა დავეხმაროთ ხოლმე?

— სწორია, მიშელ!

— იმ სხვებმა რაღა უნდა ქნან?

☺ ☺ ☺

— ტოტო, ტყუილის თქმა ცუდია. შენხელა რომ ვიყავი, არ ვცრუობდი.

— როდისღა დაიწყე, მამა?!

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: ოტო, რა შეგიძლია მითხრა ატომის გახლეჩაზე?

ოტო: არაფერი, ბატონო მასწავლებელო, ალბათ სხვაკლასელები იყვნენ, — მიუგო აჭარხლებულმა ოტომ.

☺ ☺ ☺

— რას გიგავს ნაწერი? ასოები დაგრეხილია, თანაც დათხუპნულია, შენს ასაკში მე უკეთესად ვწერდი, — დატუქსა ბავშვი მასწავლებელმა.

— მართალი ბრძანდებით, პატივცემულო, თქვენ ალბათ, უკეთესი მასწავლებელი გყავდათ.

# ორიგამი

ქაღალდისგან პატარ-პატარა ფიგურების დამზადების ხელოვნებას ორიგამი ჰქვია. ორიგამი ჩინეთში დაიბადა, მერე კი იაპონიაშიც გავრცელდა და დღეს მას მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მისდევენ დიდებიც და პატარებიც.

ორიგამისტი არც წებოს ხმარობს, არც მაკრატელს, მისი ერთადერთი იარაღია საკუთარი ხელები. უფრო ხშირად ქაღალდებისგან ამა თუ იმ ფრინველს, თუ ცხოველს აკეთებენ, თუმცა დახელოვნებულ ორიგამისტს შეუძლია მევიოლინეს მშვენიერი ფიგურაც გააკეთოს და პიანისტისაც.

„ნაკადულის“ ერთ-ერთ წინა ნომერში ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ გარკვეული ცნობები ამ ხელოვნების შესახებ და სანიმუშოდ ქაღალდის გედის გაკეთება გირჩიეთ.

დღეს კი ქაღალდისგან მაიმუნის გაკეთებას გთავაზობთ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუმეროლოგიური ანუ პითაგორას ჰოროსკოპი

ათასობით წლის წინათ გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის დანიშნულება და მისი ხასიათი განპირობებულია მისი დაბადების თარიღით — რიცხვით, თვით და წლით. ის იმას როდი ნიშნავს, რომ ახალშობილს ერთხელ და სამუდამოდ აქვს მიჩენილი მისი ცხოვრების მარშრუტი, რომელსაც იგი ვერ გადაუხვევს. ასე რომ იყოს, მაშინ ერთი და იმავე დღეს დაბადებული ყველა ადამიანი სრულიად ერთნაირი იქნებოდა. ნუმეროლოგია, რომელიც ადამიანის დაბადების თარიღიდან გამომდინარე განმარტავს მის ხასიათსა და შესაძლებლობებს, გვკარნახობს მიზანს, რომლის მიღწევაც შესაძლებელი და აუცილებელია, და გვასწავლის როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბედი სიურპრიზებს გვთავაზობს.



ნუმეროლოგიის მამამთავრად ძველი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორა ითვლება. მას მიაჩნდა, რომ ყოველივე კოსმოსში არსებულის ჰარმონიას საფუძვლად უდიდესი მუსიკალური გუნდი უძევს. თუმცა ადამიანებს არ ესმით პლანეტების მუსიკა, ისე მოქმედებენ, როგორც ჰარმონიული ერთიანის ნაწილი. პითაგორას მიხედვით მუსიკა ვიბრაციათა სერიაა. დიდმა მათემატიკოსმა სამყაროს გუნდიდან რიცხვისკენ ხიდი გადო და გამოაცხადა, რომ „ყოველივე არსებულის საფუძველში ძევს რიცხვები", რომლებიც ნოტებივით ვიბრირებს. ადამიანის ხასიათს კი ის ვიბრაცია განსაზღვრავს, რომელიც მისი დაბადების მომენტში იყო. თუმცა ნუმეროლოგიის მეშვეობით დადგენილი კანონზომიერებანი დღემდე ვერავის აუხსნია, უნდა ითქვას, რომ რჩევები, რომლებსაც ნუმეროლოგია იძლევა, სრულიად უვნებელია იმათთვისაც კი, ვისაც ამგვარი თეორიები არ სწამს. ასეა თუ ისე, საკუთარ თავზე, საქციელზე კიდევ ერთხელ დაფიქრება არავის აწყენს.

## როგორ გამოვიანგარიშოთ ჩვენი რიცხვი?

შეკრიბეთ დაბადების თარიღის ყველა ციფრი და შეკრების გზით ერთ ციფრამდე დაიყვანეთ. ვთქვათ, ვიღაც 1999 წლის 12.10. დაიბადა. 1+9+9+9+1+2+1+0+=32 3+2=5. ამ ადამიანის ცხოვრების ძირითადი რიცხვი „ხუთიანი" იქნება.

1. ერთიანები — ნებისყოფიანები, დამოუკიდებლები, შეუპოვრები არიან და მუდამ მზად არიან ბრძოლაში გადაეშვან. იღბლიანი დღე — კვირა. ფერი — თეთრი, სურნელი — სანდალოზი, თილისმა — ბრილიანტი.

2. ორიანები — ალტრუისტები არიან. მათ ამ ქვეყნად მშვიდობა და სიწყნარე მოაქვთ. ისინი ბრძენები და მტკიცე ნებისყოფისანი არიან. იღბლიანი დღე — კვირა, ფერი — მოვერცხლისფრო რუხი, სურნელი — იასამანი, თილისმა — თეთრი ოქრო.

3. სამიანები — ნიჭიერები, მაგრამ მოუთმენლები არიან. თუმცა გატაცებული იდეალისტები არიან, მათ არც პრაქტიკულობა აკლიათ. იღბლიანი დღე — შაბათი, ფერი — შავი, სურნელი — მუშკი, თილისმა — ამეთვისტო.

4. ოთხიანები — ხელისუფლებისკენ ილტვიან, ბუნებით ლიდერები, შეუპოვრები, გაწონასწორებულები და პატიოსნები არიან. იღბლიანი დღე — ხუთშაბათი, ფერი — ლურჯი, სურნელი — ლევკოიონი, თილისმა — საფირონი.

5. ხუთიანები — კონფილიქტურობით გამოირჩევიან. დღევანდელი დღე არ აკმაყოფილებთ და მუდამ წინ ისწრაფვიან. ძლიერები, გაბედულები და ენერგიულები არიან. მათი დღეა სამშაბათი, ფერი — ყვითელი, სურნელი — დარიჩინი, თილისმა — ლალი.

6. ექვსიანები — გაწონასწორებულები, კარგი საურთიერთობო, საიმედოები და ხალისიანები არიან. დღე — სამშაბათი, ფერი — ოქროსფერი, თილისმა — ოქრო.

7. შვიდიანები — უბრალოდ მოვალენი არიან გაიმარჯვონ. მათ მდიდარი ფანტაზია, ძლიერი ინტუიცია და ანალიტიკური აზროვნების უნარი აქვთ. დღე — პარასკევი, ფერი — მწვანე სურნელი — ვარდი, თილისმა — ზურმუხტი.

8. რვიანები — ორგანიზებულები და გაბედულები არიან, აქვთ დარწმუნების უნარი და ყოველთვის დიდი ზეგავლენა აქვთ სხვებზე. დღე — ოთხშაბათი, ფერი — ყავისფერი, სურნელი — ჟასმინი, თილისმა — ტოპაზი.

9. ცხრიანები — შემოქმედებითი შრომისკენ ილტვიან. მათ ძლიერი ინტუიცია და მტკიცე რწმენა აქვთ. იღბლიანი დღე — ორშაბათი, ფერი — მოყვითალო-მწვანე, სურნელი — შროშანი, თილისმა — ონიქსი.

# იწილო-ბიწილო

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. სითბოს საზომი ერთეული; 2. სახელმწიფო არაბეთში; 3. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 4. იშვიათი ლითონი; 5. მცენარე, რომლისგანაც დამზადებულ საღებავს აღმოსავლეთში თმა-წვერისა და ფრჩხილების შესაღებად ხმარობენ; 6. მძლეოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 7. რაიმე სფეროში ახალი გზის გამკვლევი; 11. წერტილივით ლაქა სხეულზე; 12. ელექტროდენის სიმძლავრის ერთეული; 16. მშვიდობიანი ხელშეკრულება; 17. მდინარე საფრანგეთში; 19. მგალობელი ფრინველი; 22. საქართველოს ქალაქი; 23. დილა, ანუ?.. 25. მთები ირანში; 29. მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ; 30. ტემპი მუსიკაში; 33. დიდი კუთრი წინალობის ლითონი; 34. ცნობილი რუსი კომპოზიტორი; 35. შეტევა, ანუ?.. 37. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 43. მეომრის საჭურველი ძველად; 45. ავსტრიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 8. ხეობა კავკასიონზე; 9. გამოძახილი, ანუ?.. 10. სხეულის თვისება — შეინარჩუნოს უძრაობა ან სწორხაზოვანი მოძრაობა; 13. ქართველი მწერალი; 14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 15. ნაცვალსახელი; 18. საკონდიტრო ნაწარმი; 20. გამოჩენილი ქართველი მწერალი; 21. თევზის ჯიში; 24. რისიმე მთავარი აზრი; 26. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში; 27. შენობაზე გაკრული წარწერა; 31. საომარი საჭურველის ზოგადი სახელი ძველად; 32. ალპური საძოვარი; 36. ნივთიერება, რომელიც ქვანახშირის შემადგენლობაში შედის; 38. სახელმწიფო ამერიკაში; 39. „ვეფხისტყაოსნის" გმირი; 40. ფრინველი; 41. მწვერვალი კავკასიონზე; 42. გემის მამოძრავებელი საშუალება ძველად; 44. ბუნების მოვლენა; 46. მდინარე იაკუტიაში; 47. მტაცებელი ფრინველი; 48. ელექტრულად დამუხტული ატომი, რომელიც მის მიერ ელექტრონის დაკარგვის ან შეძენის შედეგად წარმოიქმნება.

## რამდენი წრისგან შედგება ეს ბურთი?






დააკვირდით ამ ნახატს და გამოიცანით, მარჯვნივ გამოხატული რომელი ტანი მიესადაგება მარცხენა სურათს

# მსოფლიოს ყველა ვარსკვლავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯონ ლენონის და იოკო ონოს ეს ფოტო გადაღებულია 1980 წლის ზაფხულში, ჯონის სიცოცხლის ბოლო ზაფხულში, ჯონის სოცოცხლის ბოლო ზაფხულში. მისი დაღუპვიდან 20 წელი გავიდა, ლეგენდარული მომღერლის და მთელი ლივერპულელი ოთხეულის სახელსა და დიდებას კი არაფერი აკლდება. გამოკითხვების შედეგად ბითლზის სიმღერას „Yesterday" 1963 წლიდან მოყოლებული, როკ-მომღერალთა საუკეთესო სიმღერების ასეულში პირველი სტრიქონი უკავია. გასული წლის მიწურულს გამოცემული ბითლზის 1965 წლის ალბომი ათასწლეულის საუკეთესო ალბომად აღიარეს.

ჯონ ლენონი მარტო მუსიკაში როდია უკვდავყოფილი. ხელოვანის ტრაგიკული დაღუპვიდან მე-20 წლისთავზე ლივერპულში, იმ სახლზე, რომელშიც ჯონმა ბავშვობის წლები გაატარა, მემორიალური დაფა გაიხსნა, ჰავანაში მას ძეგლი დაუდგეს, ხოლო სიდნეიში, ოპერის შენობასთან ლენონის ყინულის პროფილი გაჩნდა. ახალი საუკუნის პირველ როკ-ფესტივალზე ბრაზილიაში ყველა იქ მყოფი ფეხზე წამოდგა და ერთად იმღერა ჯონ ლენონის დაუვიწყარი ჰითი „Imagine".






## ჯონ ლენონი






სიტყვა „Imagine" მოზაიკაზე XX საუკუნის როკ-ვერსკვლავის დაღუპვის ადგილზე.